პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკ-ის ორგანო

№ 62 (5163) | ხუთშაბათი, 17 მარტი, 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს სოციალიზმის ქვეყნის დედა-ქალაქი, წითელი მოსკოვი, გულში ჩაიკრავს თავის მამაც შვილებს, სახელოვან ეპოპეის გმირ ვაჟკაცებს პაპანინს, კრენკელს, შირშოვს, ფედოროვს.

სალამი საბჭოთა ხალხის საამაყო გმირებს!



ი. დ. პაპანინი.



პ. პ. შირშოვი.



ე. თ. კრენკელი.



ე. კ. ფედოროვი.

ნახ. მხატ. ი. ქოქიაშვილისა.

დიდება სტალინური ეპოქის სახელოვან გმირებს

დღეს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის წითელი დედაქალაქი სიყვარულითა და აღფრთოვანებით ჩაიკრავს გულში ჩვენი დიადი სამშობლოს სახელოვან შვილებს ივანე პაპანინს, პეტრე შირშოვს, ერნსტ კრენკელსა და ევგენი ფედოროვს, რომლებმაც დაამარცხეს მკაცრი ჩრდილოეთის სტიქია და დიდების შარავანდედით შემოსეს თავიანთი სამშობლოს სახელი.

„ჩვენ ბედნიერნი ვართ, — სწერდნენ პაპანინელები ამ 9 თვის წინათ, — რომ ჩვენმა ძლიერმა სამშობლომ დაგვავალა კაცობრიობის ოცნების განხორციელება. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საბჭოთა მეცნიერებამ მიიღოს მაქსიმალურად ღირებული და სრული მასალები".

სტალინური ეპოქის ადამიანის სიტყვა არ შორდება საქმეს: არქტიკის მრისხანე სტიქიასთან თავგანწირულ ბრძოლაში ბოლშევიკური პარტიის მიერ აღზრდილმა ოთხმა მამაცმა გმირმა განახორციელა მთელი მოწინავე კაცობრიობის მრავალსაუკუნოებრივი ოცნება: დაიპყრო და მეცნიერულად გამოიკვლია ჩრდილოეთის პოლუსი, — გააცოცხლა ეს „თეთრი ლაქა" მსოფლიოს რუკაზე.

მამაც საბჭოთა გმირებს არ აშინებდათ ცივი პოლარული ღამის წყვდიადი, მძაფრი გრიგალისებური ქარიშხალი, ნისლი და ქარბუქი; ისინი მშვიდად, შეუპოვრად, უმაგალითო ენერგიითა და რკინის ნებისყოფით იკვლევდნენ კაცობრიობისათვის აქამდე უცნობი ჩრდილოეთის პოლუსის ღრმა საიდუმლოებებს, მათ არ დაუკარგავთ მხნეობა და სიმამაცე მაშინაც კი, როდესაც მძვინვარე ქარიშხალმა გრენლანდიის ზღვაში დაამსხვრია მოდრეიფე პოლარული ყინულები.

„ვაწარმოებდით რა მრავალრიცხოვან დაკვირვებებს გამოუკვლეველ მხარეში, — აცხადებენ თავიანთ მისალმებაში პაპანინელები, — ყოველ წუთს ვგრძნობდით, რომ ჩვენ თვალყურს გვადევნებს მთელი ჩვენი ძლიერი სამშობლო, და ეს გვმატებდა დაუშრეტელ ენერგიას, გვაფრთოვანებდა სუსხიან სტიქიასთან საბრძოლველად. ჩვენთვის საშიში არ იყო ჩრდილოეთის პოლუსის ყინვა და ქარბუქი, ჩვენ გვათბობდა მშობლიური ქვეყნის სიყვარული და მზრუნველობა, ჩვენი მამის, მეგობრისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის სიყვარული და მზრუნველობა".

აი სად არის წყარო მათი გამბედაობის, უძლეველობის, გმირობისა და სიმამაცისა! აი რით იკვლევდნენ ისინი გზას მრავალთვიანი ღამის წყვდიადში, მარადი ყინულების სამეფოში!

ასეთნი არიან კომუნიზმის უკვდავი იდეებით აღფრთოვანებული ადამიანები. მათ არ იციან, რა არის შიში სიძნელეთა წინაშე, და სძლევენ ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას დიადი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსზე" ისინი მხოლოდ ოთხნი იყვნენ, მაგრამ საჭირო რომ ყოფილიყო, მძლავრი საბჭოთა ხალხი ათასობით გაგზავნიდა იქ თავის ღირსეულ შვილებს. სტალინური კონსტიტუციის მზით გამთბარი ქვეყნის ბედნიერი მშრომელნი ზედიზედ ახდენენ გმირობისა და სიმამაცის სასწაულებს. საბჭოთა კავშირის გმირთა საპატიო სიას დღითიდღე ახალი სახელები ემატება. ჭეშმარიტად უძლეველია ქვეყანა რომელსაც ჰყავს ასეთი გმირები! ამაში მოუხდებათ დარწმუნება სოციალიზმის მტრებს, თუ კი ისინი გაბედავენ თავიანთი ბინძური ხელი აღმართონ გამარჯვებული სოციალიზმის დიადი ქვეყნის წინააღმდეგ.

ჩრდილოეთის პოლუსის დაპყრობის ეპოპეამ მთელ მსოფლიოს დაანახვა არა მარტო საბჭოთა პატრიოტების უმაგალითო გმირობა და სამშობლოსათვის თავგანწირვა, არამედ აგრეთვე სახელოვანი საბჭოთა ავიაციისა და წითელი საბჭოთა ფლოტის მაღალი ორგანიზებულობა და უძლეველობა.

ჩრდილოეთის გმირ დამპყრობთა ლეგენდარული ამბავი მუდამ დარჩება კაცობრიობის ხსოვნაში, როგორც ადამიანის გამძლეობისა და სიმამაცის უმაღლესი მიღწევა. მათი მაგალითი აღაფრთოვანებს მილიონობით საბჭოთა ადამიანებს ახალი შემოქმედებითი შრომისა და საწარმოო აღმავლობისათვის. ამ მაგალითით ისწავლის საბჭოთა ახალგაზრდობა, ისწავლის მთელი საბჭოთა ხალხი.

დიდება და გამარჯვება ჩვენი ქვეყნის საამაყო გმირებს პაპანინს, შირშოვს, კრენკელს და ფედოროვს, რომლებმაც ახალი, უბრწყინვალესი ფურცელი გადაშალეს საკაცობრიო კულტურისა და მეცნიერების ისტორიაში!

გაუმარჯოს დიად საბჭოთა ხალხს, რომელიც ლენინ-სტალინის უძლეველი პარტიის ხელმძღვანელობით ზრდის და აწრთობს ათასობით ასეთ გმირებს!

სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურთა. პოლიტმუშაკთა. უმცროს მეთაურთა და წითელფლოტელთა დაჯილდოება

მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XX წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან ბრძოლებში სიმამაცისა და თავგანწირვის გამოჩენის და განსაკუთრებული წარმატებებისა და მიღწევებისათვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემების, ნაწილებისა და შეერთებების საბრძოლო, პოლიტიკური და ტექნიკური მომზადების საქმეში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულობით დაჯილდოებულია 36 მეთაური, პოლიტმუშაკი, უმცროსი მეთაური და წითელფლოტელი.

„წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოებული არიან დივიზიის კომისარი იაკობ ვასილის-ძე **ვოლკოვი**, I რანგის ფლაგმანი კონსტანტინე ივანეს-ძე **დუშენოვი**.

„წითელი ვარსკვლავის" ორდენით მე-2 რანგის ფლაგმანი ევგენი ქსენოფონტეს-ძე **სამბორსკი**, დივიზიის კომისარი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **ბულიშკინი**, ბრიგადის კომისარი პავლე მოსეს-ძე **კლიპი**, ბრიგადის იურისტი ვასილ ალექსანდრეს-ძე **კოლპაკოვი**, ბატალიონის კომისარი ივანე პეტრეს-ძე **ზვერევი**, სულ 18 კაცი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით: მე-3 რანგის ინტენდანტი ვასილ მიხეილის-ძე **პლეშკოვი**, უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ იაკობის-ძე **ლეუხინი**, უფროსი პოლიტხელი ვალერიან ანდრიას-ძე **მარტინოვი**, წითელფლოტელი ბორის ანდრიას-ძე **ჟდანოვი**, წითელფლოტელი ივანე ალექსის-ძე **ილიუხინი**, სულ 16 კაცი. (საქდეპი).

ლენინგრადი

მიტინგი ლენინგრადის ნავსადგურში 15 მარტს

„ჩრდილო პოლუსის" მოდრეიფე სადგურის უფროსის საბჭოთა კავშირის გმირ ი. დ. პაპანინის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ უსაზღვრო ბედნიერებას და სიხარულს განვიცდით იმის გამო, რომ შემოვდგით ფეხი საბჭოთა მშობლიურ მიწაზე, რომ შეგვიძლია მოგესალმოთ და მადლობა გამოგიცხადოთ თქვენ, ლენინის ქალაქის მშრომელთ, იმ სიყვარულისა და ყურადღებისათვის, რაც ჩვენს მიმართ გამოიჩინეთ. შეხვედრა, რომელიც თქვენ მოგვიწყეთ, დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ჩვენ ბევრი რამ ვნახეთ იმ ხნის განმავლობაში, რაც პოლარეთში გავატარეთ, ბევრი რამ გადავიტანეთ 9 თვის განმავლობაში დრეიფის დროს ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანესა და გრენლანდიის ზღვაში, მაგრამ ის, რასაც აქ ვხედავთ, არასოდეს დაგვავიწყდება. ასეთი შეხვედრის გამართვა თავისი ძმებისათვის შეუძლია მხოლოდ იმ ქვეყანას, მხოლოდ იმ ხალხს, რომელიც განთავისუფლებულია ექსპლოატაციისაგან, მხოლოდ ხალხს, ჭეშმარიტად ბედნიერს, საბჭოთა ძლიერ ხალხს.

მოდრეიფე ყინულს, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობდით და ვმუშაობდით 274 დღეს, მისცურავს სადღაც გრენლანდიის ზღვაში და თან მიაქვს ჩვენი ძვირფასი საყვარელი სამშობლოს ამაყი დროშა, რომელიც 1937 წლის 21 მაისს ჩრდილოეთის პოლუსზე აღმართა საჰაერო ექსპედიციამ საბჭოთა კავშირის გმირის ოტო იულის-ძე შმიდტის მეთაურობით, რომელიც აქ გვესწრება **(ტაში)**.

მსოფლიოს უაღრესად მამაცი ადამიანები — პირი, ნანსენი, ამუნდსენი და სხვები მიისწრაფოდნენ პოლუსისაკენ. ჰაერით, ზღვით, მარხილით, ქვეითად — ყველა ისინი ცდილობდნენ მიეღწიათ პოლარული ბასეინის შუაგულისთვის. მაგრამ მხოლოდ ერთმა ადამიანმა მოახერხა პრაქტიკულად გადაეწყვიტა ჩრდილოეთის პოლუსის მეცნიერული დაუფლების პრობლემა. ეს კაცი, რომლის შესახებ ფიქრი მუდამ ცოცხლობს ჩვენს გულში, არის ჩვენი ბელადი, მასწავლებელი და სულისჩამდგმელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი **(ტაში)**.

ჩვენმა ძლიერმა ქვეყანამ, რომელსაც აქვს პირველხარისხოვანი ტექნიკა და ჰყავს მამაცი ადამიანები, დაიპყრო ჩრდილოეთის პოლუსი ფართოდ, სერიოზულად, ორგანიზებულად, სტალინურად. მსოფლიოს მწვერვალზე, პოლარული ბასეინის ცენტრში გაფრინდნენ არა მარტოხელა მკვლევარნი, არამედ ხალხის შვილნი, რომლებიც მუშაობენ თავიანთი ქვეყნის, თავიანთი სამშობლოს კეთილდღეობისა და აყვავებისათვის, ჰგრძნობენ რა რომ მათ ზურგში დგანან მილიონობით მუშაკნი, რომელნიც ცოცხლობენ ჩვენი სიხარულით, საზრუნავით, საქმეებით. იმ ტექნიკის გარეშე, იმ ავიაციის გარეშე, რომლებიც შექმნილია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მშობლიური ამხანაგი სტალინის მზრუნველობით, წარმოუდგენელი იქნებოდა ჩრდილოეთის პოლუსის დაპყრობა.

როცა ჩვენი ყინულის მსხვრევა დაიწყო, როცა ჩვენ ყინულოვანი ველის პატარა ნამსხვრევზე დავრჩით, ჩვენს ფიქრებში ამხანაგ სტალინზე ვპოებდით ენერგიის, მხნეობისა და სიმამაცის დაუშრეტელ წყაროს. ამხანაგ სტალინს მუდამ ვახსოვდით ჩვენ, ოთხი ადამიანი, და მძიმე წუთში მან სტალინური გაქანებით მოაწყო ჩვენთვის დახმარების გაწევა. სამი ყინულმჭრელი, ხომალდი თვითმფრინავებიანად დაძრულ იქნა გრენლანდიის ზღვისაკენ პატარა ჰიდროგრაფიული გემის „მურმანეცის" კვალდაკვალ. როცა ჩვენ დავინახეთ, რომ კოპიჭებს იქით ჰორიზონტზე გამოჩნდა აფრები საბჭოთა გემებისა, რომლებიც ყინულებში გზას მოიკვლევდნენ, ჩვენს სიამაყეს საზღვარი არ ჰქონდა. ჩვენ შევიკრიბეთ ჩვენს პატარა ყინულზე და ამხანაგ სტალინის პატივსაცემად, დიადი უძლეველი საბჭოთა ხალხის პატივსაცემად ხმამაღლა შევძახეთ „ვაშა".

და ახლა, როცა ჩვენ კვლავ თქვენთანა ვართ, როცა სიხარულის ტალღა ავსებს ჩვენს გულს, გვინდა გითხრათ, რომ ჩვენ არასოდეს არ ვგრძნობდით თავს მარტოდ. ჩვენი ხალხისაგან სივრცით დაშორებულნი, ფიქრებით, გრძნობებითა და მისწრაფებებით მასთან ვიყავით. ჩვენ მუდამ ვგრძნობდით ამ კავშირს, ხალხის ამ სითბოს.

საბჭოთა ხალხმა ჩვენ უდიდესი ნდობა გამოგვიცხადა, აგვირჩია რა თავის დეპუტატებად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. ფიცსა ვდებ: მთელ ჩემს სიცოცხლეში ვიქნები საბჭოთა ხალხის ერთგული მსახური, ბოლშევიკური პარტიის ერთგული ჯარისკაცი, ლენინ-სტალინის საქმისათვის მებრძოლი.

ხალხის მტრები, ტროცკისტ-ბუხარინელი ბოროტმოქმედნი, უცხოეთის დაზვერვათა ჯაშუშები, ცდილობდნენ ხალხის სისხლში ჩაეხრჩოთ ჩვენი გამარჯვებანი. შენიღბულმა ფაშისტ-ავაზაკებმა — ბუხარინმა, რიკოვმა, იაგოდამ და მთელმა დანარჩენმა ბილწმა ხროვამ მოჰკლეს ჩვენთვის ძვირფასი ადამიანები — ამხანაგები კიროვი, მენჟინსკი, კუიბიშევი, მაქსიმ გორკი. მაგრამ ფხიზელმა საბჭოთა დაზვერვამ მთელი ხალხის საყვარელი ადამიანის ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვის მეთაურობით გაანადგურა მკვლელთა, ჯაშუშთა და დივერსანტთა არალეგალური ბუდე. ფაშისტთა ხროვის წინააღმდეგ ჩვენში, რევოლუციის არსენალში მოიპოება სხვა მძლავრი იარაღიც: ჩვენ გვყავს უძლეველი მუშურ-გლეხური წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი. თვითეული ჩვენგანი — მუშა, კოლმეურნე, პოლარელი, მეცნიერი, მკვლევარი — საჭირო წუთში მზად არის ხელი მოჰკიდოს იარაღს, დაიცვას თავისი საყვარელი სამშობლო, თვითეული ჩვენგანი მზად არის თავი დასდოს მხურვალედ საყვარელ ამხანაგ სტალინისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ამ განცხადებას მთელი საბჭოთა ხალხი შეუერთდება. **(ტაში)**.

ჩვენ, ამხანაგ სტალინის მიერ გამოზრდილი და გამოწრთობილი ოთხი ადამიანი, მუდამ ვგრძნობდით, რომ დიადი ხალხის, საბჭოთა ხალხის წარმომადგენლები ვართ და ჩვენი ყოველდღიური შრომით გვინდოდა დაგვემტკიცებინა, თუ რისი გაკეთება შეუძლია საბჭოთა ადამიანს. ჩვენ ვმუშაობდით სამშობლოსათვის, მეცნიერებისათვის. ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ, უბრალო, ჩვეულებრივმა ადამიანებმა შევძელით ღირსეულად გაგვეტარებინა სსრ კავშირის დროშა ჩრდილოეთის პოლუსიდან მე-70 პარალელამდე. მე და ჩემი ძვირფასი ამხანაგები შირშოვი, კრენკელი და ფედოროვი ბედნიერნი ვართ, რომ შეგვიძლია მოვახსენოთ ამხანაგ სტალინს: თქვენი დავალება შესრულებულია. **(ტაში)**.

ძვირფასო ამხანაგებო, ლენინის ქალაქის მშრომელნო, მიიღეთ ჩვენი მადლობა ჩვენდამი სიყვარულისა და ყურადღებისათვის. ლენინგრადის მუშებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობს ამხანაგ სტალინის ერთგული თანამებრძოლი ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი ჩვენთვის ძნელ წუთებში დახმარების ხელი გამოგვიწოდეს. ნამდვილად სტახანოვური ტემპებით იქნა შეკეთებული და ჩრდილოეთისაკენ ლაშქრობისათვის გამზადებული ყინულმჭრელი „ერმაკი". გმადლობთ, ძვირფასო ამხანაგებო, გმადლობთ! **(ტაში)**.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად დროშას, რომლითაც ჩვენ მუდამ მოვიპოვებთ გამარჯვებებს!

გაუმარჯოს ლენინის ქალაქის მშრომელებს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურს, მხურვალედ საყვარელ ამხანაგ სტალინს! **(ტაში. „ინტერნაციონალი")**.

ამხ. ე. თ. კრენკელის სიტყვა

ამხანაგებო! ძნელია გადმოგცეთ უდიდესი სიხარულის გრძნობა, რომლითაც ჩვენ ლენინის ქალაქში შემოვედით. ჩვენ საათებს ვითვლიდით მოახლოებისას, ბანზე ვიდექით და ვიცქირებოდით, თუ, ბოლოს, როდისღა დაგინახავდით.

აქ ათასობით ამხანაგები არიან. შესაძლოა, თქვენ პირადად არ გიცნობდეთ, მაგრამ თქვენ ჩვენთვის მახლობელნი ხართ. დრეიფის დროს იყო მძიმე წუთები, და მაშინ ჩვენ ვიხსენებდით იმ ყურადღებას, იმ სიყვარულს, რომელსაც ჩვენ კონტინენტი, საბჭოების ქვეყანა გვიგზავნიდა. და ჩვენთვის საკმარისი იყო მხოლოდ გაგვეხსენებინა ეს სიტყვები, წაგვეკითხა ისინი გაქონილ რადიოჟურნალში და ერთბაშად ახალი ძალღონე, ახალი ენერგია ჩნდებოდა.

ჩვენ ყველანი ახლა დიდი სიხარულის გრძნობით ვართ აღვსილნი. ეს ოთხი საბჭოთა მოქალაქის გამარჯვება კი არ არის, ეს არის საბჭოების მრავალმილიონიანი ქვეყნის გამარჯვება. ჩვენ გვიხარია, მაგრამ ზოგ ვინმეს არცთუ ისე უხარია.

გაიმარჯვა საბჭოთა ტექნიკამ, გაიმარჯვეს საბჭოთა ადამიანებმა, გაიმარჯვა საბჭოთა ქვეყანამ. მან იერიშით აიღო ჩრდილოეთის პოლუსი.

ჩვენ გადაგვსხეს ჩრდილოეთის პოლუსზე. მაგრამ თუ საჭირო გახდება, თუ პარტია და მთავრობა გვიბრძანებენ, ჩვენ ყოველ ადგილზე გადავსხდებით **(ტაში)** და ნაცვლად იმისა, რომ სამეცნიერო ხელსაწყოებით ვიმუშაოთ, სხვა ხელსაწყოებით ვიმუშავებთ — გარემოების მიხედვით **(ტაში)**. ერთხელ კიდევ სალამი თქვენ, ძვირფასო ლენინგრადელებო! გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს! გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას ამხანაგ სტალინს! **(ტაში. „ინტერნაციონალი")**.

ამხ. პ. პ. შირშოვის სიტყვა

ამხანაგებო! მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ მოგესალმოთ თქვენ, ჩვენი სახელოვანი სამშობლოს ძვირფას თანამემამულეებს, აქ, ნევის ნაპირებზე, ლენინის სახელოვან ქალაქში. კრენკელმა კარგად სთქვა, რომ, მართლაც, ძნელია ყველა იმ გრძნობის გადმოცემა, რომლებითაც ჩვენ გამსჭვალულნი ვიყავით, როცა მღელვარებით სულ უფროდაუფრო ვუახლოვდებოდით მშობლიურ საბჭოთა ნაპირებს.

თითქმის ერთ წელს ვიყავით ჩვენ შორს, ჩრდილოეთში, 9 თვეს ვიყავით ყინულოვანი ოკეანის ყინულებზე. ამხანაგებო, ჩვენ უსაზღვროდ ბედნიერი ვართ გიპატაკოთ თქვენ, მთელს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს პარტიას, რომ ის სამუშაო, რომელიც ჩვენ დაგვაკისრეს, მთლიანად შევასრულეთ. **(ტაში)**. ჩვენს მყუდრო მოდრეიფე ყინულზე (მე მას ასე ვუწოდებდი — კარგი ყინული იყო!) ჩვენ დღითიდღე ვაკეთებდით ჩვენს საქმეს, ვაწყობდით ჰიდროლოგიურ სადგურებს, ვადგენდით მეტეოროლოგიურ ცნობებს, ვზომავდით სიმძიმის ძალას, — საერთოდ ვაკეთებდით იმას, რასაც ჩვეულებრივი ექსპედიცია აკეთებს. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ჩვენ ვიყავით არა ხომალდის ბანზე, არამედ მოდრეიფე ყინულზე.

ბევრი ოცნებობდა ასეთ ექსპედიციაზე ჩრდილოეთის პოლუსისაკენ, მაგრამ მისი განხორციელება მხოლოდ საბჭოთა ადამიანებმა შესძლეს. ეს არა იმიტომ, რომ ისინი რაიმე განსაკუთრებული ადამიანები იყვნენ, რაიმე განსაკუთრებული მასალიდან იყვნენ ნაჭედნი, — ისინი არიან ჩვეულებრივი, უბრალო საბჭოთა მოქალაქენი, ისეთები, როგორიც ჩვენში 170 მილიონია. **(ტაში)**.

თქვენ, ამხანაგებო ჩვენ მოგვესალმებით, როგორც გმირებს, მაგრამ, ამხანაგებო, გაიგეთ უბრალო ჭეშმარიტება, რომ ძნელი არ არის იყო გმირი, როცა იცი, რომ შენს ზურგს უკან სდგას დიადი სამშობლო, სდგას 170-მილიონიანი თავისუფალი საბჭოთა ხალხი **(ტაში)**. სდგას სახელოვანი პარტია, სდგას ამხანაგი სტალინი.

გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ, მშობლიურ ამხანაგ სტალინს! **(ტაში. „ინტერნაციონალი")**.

ამხ. ე. კ. ფედოროვის სიტყვა

ამხანაგებო! როცა პირი ჩრდილოეთის პოლუსს უახლოვდებოდა და იქამდე მხოლოდ რამდენიმე კილომეტრი იყო დარჩენილი, მან თავის დღიურში ჩაიწერა: „მთელი სიცოცხლის მიზანი თვალწინაა, მაგრამ დაღლილობამ, გზის საშიშროებამ, უსაზღვროდ მძიმე გზამ დამძლიეს და მე არ ვიცი, შევძლებ კი ამ უკანასკნელი კილომეტრების გავლას". პირიმ დასტოვა დროშა პოლუსზე, მაგრამ იქ ვერცერთი სამეცნიერო დაკვირვების მოხდენა ვერ შესძლო.

ჩვენ გავფრინდით პოლუსისაკენ ოთხი უზარმაზარი მანქანით, თან მიგვქონდა 10 ტონა ტვირთი, აპარატურის უზარმაზარი მარაგი. ჩვენმა ქვეყანამ გაგვატანა ყოველივე ის, რაც შეგვიქმნიდა ყველაზე კარგ პირობებს, შეგვიქმნიდა იმის შესაძლებლობას, რომ რაც შეიძლება უფრო სრულად გამოგვეყენებინა ჩვენი ძალები თვალუწვდენელი, საიდუმლოებით მოცული სივრცეების გამოსაკვლევად. ცხრა თვეს, რაც ჩვენ ყინულზე გავატარეთ, მეცნიერებისათვის ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლია. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი საქმე და უსაზღვროდ ბედნიერნი ვართ ვუპატაკოთ ჩვენს პარტიას, მთავრობას, მხურვალედ საყვარელ ამხანაგ სტალინს, რომ, სადაც უნდა გაიგზავნონ საბჭოთა მოქალაქენი, ყველგან, ყოველთვის და ყოველ ადგილას ისინი თავის დავალებას შეასრულებენ.

გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, რომელმაც პირველმა დაიპყრო საბჭოთა პოლუსი!

გაუმარჯოს საბჭოთა პოლუსის დაპყრობის ინიციატორს — ჩვენს დიდ მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! **(ტაში. „ინტერნაციონალი")**.

გმირ პაპანინელთა და ყინულმჭრელების „ტაიმირისა" და „მურმანის" სახელოვანი ეკიპაჟის მიტინგი მოდრეიფე ყინულზე 1938 წლის 19 თებერვალს.

„სოიუზფოტო".

კომუნისტი

ხუთშაბათი, 17 მარტი, 1938 წ. № 63

ჩვენი სახელოვანი გმირები

ერნსტ თეოდორის-ძე კრენკელი

— ბუნებით მე პრაქტიკისა და მოქმედების კაცი ვარ. კანცელარიაში მე ალბად მოწყენილობისაგან მოვკვდებოდი და ჩემი დაკრძალვა მოხდებოდა დიდებისა, მუსიკისა და სიტყვების გარეშე.

ასე ამბობს თავის თავზე რადისტი ერნსტ კრენკელი. თავის მოკლე 34 წლის ცხოვრებიდან კრენკელმა 14 წელი მოახმარა მძიმე თავგანწირულ მუშაობას არქტიკის ვერაგულ პირობებში.

რევოლუციის პირველ წლებში 17 წლის კრენკელი მოხვდა რადიოტელეგრაფისტთა მოკლევადიან კურსებზე. ერნსტი ერთერთი ყველაზე ნიჭიერი მსმენელი აღმოჩნდა.

1924 წელს 20 წლის ჭაბუკი კრენკელი პირველად მიემგზავრება არქტიკაში. ახალ მიწაზე კრენკელი თავმდაბლად და მშვიდობიანად მუშაობდა რადიოტექნიკაზე, ხერხავდა ყინულს, ათბობდა ღუმელებს, რეცხდა იატაკს და სწავლობდა. დიდხანს და შეუპოვრად სწავლობდა. არქტიკამ გამოაწრთო ახალგაზრდა რადისტის ნებისყოფა, აღზარდა მასში შეუდრეკელი მამაცობა და შეუპოვარი სწრაფვა ბრმა სტიქიაზე გამარჯვებისადმი.

წითელი არმიის რიგებში სამსახურის შემდეგ დაუცხრომელი კრენკელი კვლავ არქტიკაშია.

შირშოვთან ერთად ერნსტ კრენკელი მონაწილეობს „სიბირიაკოვის“ ლაშქრობაში ჩრდილოეთის დიდ საზღვაო გზაზე. ამ ლაშქრობის მონაწილეთა გმირული მუშაობა ღირსეულადაა დაფასებული. კრენკელს სხვებთან ერთად აჯილდოებენ შრომის წითელი დროშის ორდენით.

...ჩელუსკინელთა ლეგენდარული ეპოპეა. მთელმა ქვეყანამ კარგად იცის თუ რა მონაწილეობა მიიღო ამ ეპოპეაში ერნსტ კრენკელმა, როგორი განსაკუთრებული თავგანწირვა და დაუცხრომლობა გამოიჩინა მან, როგორ უკანასკნელმა დასტოვა მან „ჩელუსკინი“, რომელიც იძირებოდა, როგორ უზრუნველჰყო ჩელუსკინელთა განუწყვეტელი კავშირი დედამიწასთან. კრენკელის მკერდი დაამშვენა მეორე ორდენმა—წითელი ვარსკვლავის ორდენმა. მალე კრენკელი კვლავ მიემგზავრება დასაზამთრებლად პირველად კონცხზე—„ოლოვიანი“, იქიდან კი კუნძულ „დომაშნი“-ზე.

ამ დროს ეკუთვნის ლაპარაკის დაწყება ჩრდილოეთის პოლუსზე გაფრენის შესახებ. იდეამ გაიტაცა კრენკელი მთელი არსებით. იგი მხოლოდ ამ იდუმალი აზრით ცხოვრობს. ყველა რადიოგრამა დაზამთრებიდან გამსჭვალული იყო მხოლოდ ერთით: „მინდა და უნდა გავფრინდე პოლუსზე“.

ოცნება განხორციელდა. კრენკელი მოდრეიფე ყინულზეა. არცერთი დღით არ შეწყვეტილა პაპანინელთა ყინულის კავშირი დედამიწასთან. ხალხი, პარტია, მთავრობა დიდად აფასებენ რადისტის მამაცობის მხრივ უმაგალითო მუშაობას. მთავრობა აჯილდოებს მას ლენინის ორდენით, ხოლო ხალხი მას ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ისტორიაში უმაგალითო გმირული დაზამთრება „ჩრდილოეთის პოლუსის“ მოდრეიფე სადგურზე აგვირგვინებს კრენკელის მეათე ლაშქრობას არქტიკაში.

(საკდესი).

ივანე დიმიტრის-ძე პაპანინი

ივანე დიმიტრის-ძე პაპანინს ბრწყინვალე, საინტერესო ბიოგრაფია აქვს. მისი მამა და პაპა მეფის ფლოტის მატროსები იყვნენ. მატროსად წავიდა ივანე პაპანინიც. ფლოტში მისი სამსახურის წლები დაემთხვა მუშებისა და გლეხების ბრძოლის დიად წლებს თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის.

სამოქალაქო ომის მთელი პერიოდი ივანე დიმიტრის-ძემ ფრონტებზე გაატარა, იგი იყო უშიშარი მებრძოლი საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რევოლუციის გაბედული და მამაცი შვილი.

გიამბობთ ერთს შემთხვევას, რომელიც გადახდა ივანე დიმიტრისძეს, როდესაც იგი სააჯანყებო რაზმებში იმყოფებოდა ვრანგელის ზურგში.

...პაპანინს დაავალეს, გასულიყო ყირიმიდან ზღვით ნოვოროსიისკში, იქიდან კი ხარკოვში, რათა გადაეცა ფრონტის სარდლისათვის ერთი დიდად მნიშვნელოვანი ცნობა.

ივანე დიმიტრის-ძემ მიმართა კონტრაბანდისტებს, რომლებსაც ყირიმიდან შხუნით ფარულად გაჰქონდათ ფქვილი და სთხოვა მათ მიეყვანათ ის საბჭოთა ტერიტორიაზე.

პაპანინი ჩასვეს ბნელ ტრიუმში. როდესაც შხუნა გავიდა გაშლილ ზღვაში, კონტრაბანდისტებმა იწყეს იმის გადაწყვეტა, თუ როგორ მოჰქცეოდნენ „სქელ ბოლშევიკს“? იგი აიყვანეს გემის ბანზე, წარუდგინეს კაპიტანს. პაპანინი გარეგნულად დამშვიდებით იყურებოდა, ნამდვილად კი შეშფოთებით უგდებდა ყურს, თუ რას ლაპარაკობდნენ კონტრაბანდისტები. ლაპარაკობდნენ თათრულ ენაზე. როგორც ყირიმის მკვიდრმა, პაპანინმა ცოტათი იცოდა ეს ენა. პაპანინმა გაიგონა, თუ როგორ უბრძანა კონტრაბანდისტებს ბელადმა მოეკლათ იგი და გაეძარცვათ. ბოლშევიკის სახეზე არც ერთი კუნთი არ შეკრთალა, მან მხოლოდ მაგრად მოუჭირა ხელი რევოლვერს, რომელიც ჯიბეში ედო. პაპანინმა გადასწყვიტა იაფად არ დაეთმო თავისი სიცოცხლე.

მატროსები ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ თავიანთ მსხვერპლს, მაგრამ უეცრად, სადღაც გემის სიღრმეში, რაღამაც დაიხრიალა. შეწყდა მოტორის ხმაური. შხუნა გაჩერდა. გემზე განგაში ატყდა.

მალე გამოირკვა, რომ მოტორი გაფუჭებულიყო. გასწორება არავის შეეძლო. მე გავაკეთებო, დაიძახა პაპანინმა, მან იქვე მოისაზრა, რომ გემის ავარიას შეეძლო ეხსნა ის სიკვდილისაგან. როდესაც მოტორი გასწორდა, პაპანინმა ნიშნებით გააგებინა, რომ მოტორს ესაჭიროება განუწყვეტელი მოვლა-პატრონობა ისეთი ოსტატისაგან, როგორიც არის ის, პაპანინი...

ამგვარად მიაღწიეს ანატოლიის ნაპირებს. პაპანინი გადმოვიდა ნაპირზე და მოჰკურცხლა. ახლა ის უნდა წასულიყო ტრაპიზონს, იქიდან კი ნოვოროსიისკში. პაპანინმა შემდეგი მოიფიქრა: შემოიფხრიწა ტანისამოსი, ამოითხუპნა ტალახში, ყრუ-მუნჯად მოაჩვენა თავი, და გასწია ქვეითად საბჭოთა საზღვრისაკენ, როგორც მათხოვარმა. ივანე დიმიტრის-ძემ ოც დღეზე მეტ ხანს იარა, მაგრამ მაინც მშვიდობიანად მიაღწია ტრაპიზონს. იგი თვალისჩინსავით უფრთხილდებოდა მუხლქვეშ ამოკრულ დიდად მნიშვნელოვან ცნობას. ტრაპიზონში პაპანინმა იშოვა კატარღა და დაუყოვნებლივ ნოვოროსიისკენ გაემართა. მოხდა ისე, რომ კატარღამ ნოვოროსიისკის ნაცვლად გაგრაში ამოჰყო თავი. იქ კი თეთრები ისხდნენ, აუტეხეს სროლა კატარღას.

კაპიტანი შიშით ტრიუმში ჩაძვრა. პაპანინმა იკისრა კატარღის მართვა და მშვიდობიანად გაიყვანა იგი გაშლილ ზღვაში. მალე გამოჩნდა შუქი ნოვოროსიისკიდან, ხოლო მოკლე ხნის შემდეგ ხარკოვში ფრონტის სარდალს უკვე ეჭირა ხელში პაპანინის მიერ მიტანილი ცნობა.

რევოლუციის ერთგული შვილის საბრძოლო დამსახურება საბჭოთა ქვეყანამ ღირსეულად შეაფასა: პაპანინი საბრძოლო წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

დამთავრდა სამოქალაქო ომი. პაპანინი შეუდგა მშვიდობიან მუშაობას. მას იტაცებდა არქტიკა. ის იყო ტიხაია ბუხტის დაზამთრების უფროსი, შემდეგ პოლარული სადგურის უფროსი ჩელუსკინის კონცხზე. პაპანინმა ძაღლებით შემოიარა ფრანც იოსების მთელი არქიპელაგი, ბრწყინვალედ მოაწყო დაზამთრების მეურნეობა და სამეცნიერო მუშაობა.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირის გმირი ივანე დიმიტრის-ძე პაპანინი, ეს შესანიშნავი, მამაცი და ქედმოუდრეკელი ადამიანი, ბოლშევიკური ნებისყოფისა, გონებისა და შეუპოვრობის ცოცხალი განსახიერება, საუკეთესო და ღირსეული მაგალითი იქნება ჩვენი მოზარდი თაობისათვის, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ყველა მშრომელთათვის (საკდესი).

ევგენი კონსტანტინეს-ძე ფედოროვი

22 წლის ჭაბუკმა ევგენი ფედოროვმა, დაამთავრა რა ლენინგრადის უნივერსიტეტის ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტი დედამიწის მაგნიტიზმის სპეციალობით, გაემგზავრა ფრანც-იოსების მიწაზე.

პირველმა დაზამთრებამ არქტიკაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ფედოროვის მთელს ცხოვრებაში. აქ მან გაიარა პირველი „პოლარული ნათლობა“, აქ შევიდა ლენინური კომკავშირის რიგებში, აქ გაეცნო პირველად პაპანინს, რომელიც იმ დროს დაზამთრების უფროსი იყო. ისინი დაუკავშირდნენ ერთმანეთს მეგობრობის მხურვალე გრძნობით.

არქტიკაში მუშაობის მკაცრმა პირობებმა წარმოშვეს ახალგაზრდა ნიჭიერ მეცნიერში იმ მამაცი ადამიანის თვისებები, რომელიც სიძნელეებისაგან უკან არ იხევს. მიემგზავრებოდა რა მასთან ერთად კაცობრიობის ისტორიაში არნახულ პოლარულ დაზამთრებაში, პაპანინმა ასეთი დახასიათება მისცა ახალგაზრდა მეცნიერს:

— ფედოროვი თავის საქმის კარგი მცოდნეა, ჩრდილოეთის ენტუზიასტი, საუკეთესო ამხანაგი.

ნდობა, რომელიც გაუწია მას პარტიამ და მთავრობამ, მთელმა დიადმა საბჭოთა ხალხმა, ევგენი კონსტანტინეს-ძემ სავსებით გაამართლა. მოდრეიფე ყინულზე მან ჩაატარა უდიდესი მეცნიერული მუშაობა. უძვირფასეს განძს მეცნიერებისათვის წარმოადგენდნენ ფედოროვის გრავიტაციული დაკვირვებანი და მაგნიტური განსაზღვრანი. ამ ცნობების მიხედვით შედგენილი იქნება არქტიკის ჯერ კიდევ გამოუკვლეველი ადგილების მაგნიტური რუკა. ისარგებლებენ რა ამ რუკით, მფრინავებს გულდამშვიდებით შეეძლებათ ატარონ თავისი თვითმფრინავები ჩრდილოეთი პოლუსით. შტურმანები, გამოიყენებენ რა ამ რუკას, უშიშრად წაიყვანენ თავის გემებს ჩრდილოეთის დიდი საზღვაო გზით მურმანსკიდან ვლადივოსტოკში.

მოდრეიფე ყინულზე გამოჩენილი გმირობისათვის, თვალსაჩინო დამსახურებისათვის სოციალისტური სამშობლოს წინაშე ევგენი კონსტანტინეს-ძე ფედოროვი დაჯილდოებულია მთავრობის მიერ მაღალი ჯილდოთი—ლენინის ორდენით. ყირგიზეთის რესპუბლიკის ნაუკატის საარჩევნო ოლქის მშრომელებმა თავის დეპუტატად გაჰგზავნეს იგი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში როგორც სამშობლოს ერთგული შვილი.

ევგენი ფედოროვი დაიბადა მშრომელის ოჯახში. ბავშვობა მან გაატარა ვოლგაზე, ქალაქ გორკიში, სადაც ამჟამადაც ცხოვრობენ ბედნიერი მოხუცები, რომლებმაც ასეთი მშვენიერი შვილი აღუზარდეს სამშობლოს.

იმ დღეებში, როდესაც მინსკიდან დაწყებული ვლადივოსტოკამდე პაპანინელთა გმირული ოთხეულის გადმოყვანა ყველაზე მეტი მღელვარების გამომწვევი სალაპარაკო თემა გახდა, ლენინგრადში ფედოროვისა და მისი ცოლის ანა ვიქტორის-ასულის სახელზე ათობით მხურვალე წერილები მოდიოდა. სრულიად უცნობი, მაგრამ ახლობელი სამშობლოსადმი საერთო სიყვარულით, ადამიანები უგზავნიან მათ მილოცვებს, გამოხატავენ სიხარულსა და აღტაცებას (საკდესი).

პეტრე პეტრეს-ძე შირშოვი

ბავშვობისა და ჭაბუკობის ხანა პეტრე პეტრეს-ძე შირშოვმა—სამგზის ორდენოსანმა ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერმა—გაატარა დნეპროპეტროვსკში. აქ იგი სწავლობდა საშუალო სკოლაში, აქვე დაამთავრა სახალხო განათლების ინსტიტუტის ბიოლოგიური ფაკულტეტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შირშოვი მუშაობს ოდესაში, მშობლიურ დნეპროპეტროვსკში, ლენინგრადში, შემდეგ კი იწყება „წინწაწევა“ ჩრდილოეთში.

ლენინგრადიდან ახალგაზრდა მეცნიერი მიემგზავრება კოლსკის ნახევარკუნძულზე. 1931 წელს შირშოვი უკვე იზამთრებს ახალ მიწაზე. შემდეგ ისტორიული რეისი ყინულმჭრელ „სიბირიაკოვით“ ჩრდილოეთის მთელ საზღვაო გზაზე.

ამ შესანიშნავი ლაშქრობის დროს გამოჩენილი გმირობისათვის მთავრობამ დააჯილდოვა იგი შრომის წითელი დროშის ორდენით.

„შემთხვევით“ ყინულზე ყოფნის გამოცდილება შირშოვს უკვე ჰქონდა. სრულიად ბუნებრივია, რომ მეორე — „დაგეგმილ“ ყინულზე ჩრდილოეთის პოლუსთან ერთერთი მოსახლე პეტრე შირშოვი აღმოჩნდა.

არ გასულა ერთი წელიც და იგი კვლავ ექსპედიციაშია — „ჩელუსკინზე“. როდესაც ყინულებმა გაარღვიეს სახელოვანი „ჩელუსკინის“ გემბანი, შირშოვი შეიჭრა კაიუტაში და იქიდან სამეცნიერო მასალა უკლებლივ გამოიტანა.

ყინულზე შმიდტის ბანაკში შირშოვმა უდიდესი მუშაობა ჩაატარა. გამოჩენილი გმირობისათვის პეტრე პეტრეს-ძემ მიიღო მთავრობის მეორე მაღალი ჯილდო—წითელი ვარსკვლავის ორდენი.

„ჩრდილო პოლუსზე“. ამხ. პ. პ. შირშოვი კინო-აპარატთან.

შირშოვმა უდიდესი მუშაობა ჩაატარა „ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურზე. „ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურზე მუშაობის მეორე თვის დასაწყისში მთავრობამ დააჯილდოვა იგი ლენინის ორდენით.

(საკდესი).

ფაშისტ ქოფაკთა ხროვა მოსპობილია

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენი ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ საქმეზე მსჯავრდადებულთა დახვრეტის შესახებ სისრულეშია მოყვანილი. ბუხარინი, რიკოვი, იაგოდა, კრესტინსკი, როზენგოლცი, ივანოვი, ჩერნოვი, გრინკო, ზელენსკი, იკრამოვი, ხოჯაევი, შარანგოვიჩი, ზუბარევი, ბულანოვი, ლევინი, კაზაკოვი, მაქსიმოვ-დიკოვსკი, კრიუჩკოვი — ხალხის ეს უბოროტესი მტრები დაიხვრიტნენ! ფაშისტ მკვლელთა, ჯაშუშთა და მავნებელთა ხროვა აღგვილია პირისაგან მიწისა.

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მოსპობა საბჭოთა ხალხის ახალი ბრწყინვალე გამარჯვებაა მტრებზე. განადგურებულია ფაშისტ აგრესორთა ყველაზე გამძვინვარებული მოწინავე რაზმი.

პროცესის დღეებში ჩვენი ქვეყანა, მთელი პატიოსანი კაცობრიობა მშრომელთა მტრებისადმი გამახვილებული წმინდათა-წმინდა სიძულვილის ერთიანი გრძნობით ცხოვრობდა. ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესმა უდიდესი ძალით დაგვანახვა ამაზრზენი, მხეცური სახე ფაშიზმისა, რომლის ერთგული აგენტები — ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები და მკვლელები ლამობდნენ ყელში სწვდომოდნენ საბჭოთა ხალხს და შთაეგდოთ იგი კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და ჩაგვრის უფსკრულში. სასამართლო ძიების ყოველი დღე ააშკარავებდა ამ მტარვალთა და ჯალათთა სულ ახალ-ახალ ბოროტმოქმედებებს, დღითიდღე მრისხანებით ენთებოდა ქვეყანა, რომლის წინააღმდეგ საშინელი ხრიკები მზადდებოდა. კავშირთა სახლში სხდომები ჰქონდა სასამართლოს, ხოლო ამ სახლის გარეთ ქარიშხალივით ბობოქრობდა ხალხის რისხვა, მრავალათასიანი მიტინგები და კრებები ერთს მოითხოვდნენ — მოვსპოთ წყეული ქვეწარმავალი!

გასაგებია ხალხის ეს გრძნობები. საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო, ლენინ-სტალინის პარტია, თავისი ბელადები. სოციალიზმის დიადი შენობა აგებულია მილიონთა თავგამოდებული და პატიოსანი შრომით. ჩვენ ვამაყობთ იმის შეგნებით, რომ შევძელით ყველა დაბრკოლებასა და სიძნელეზე გამოგვეტარებინა გამარჯვების შეურყეველი რწმენა და სინამდვილედ ვაქციეთ ოცნება. სოციალიზმის შენობა დღითიდღე უფრო და უფრო მშვენიერი ხდება, დღითიდღე, ყოველსაათობით უფრო და უფრო ბედნიერი და სასიხარულო ხდება ჩვენი ცხოვრება, ჩვენი შვილების ცხოვრება. სოციალიზმი მკვიდრად შევიდა საბჭოთა ხალხის ყოფაცხოვრებაში, და არავითარ ძალას არ შეუძლიან დაგვაბრუნოს უკან.

ტროცკისტ - ბუხარინელი ბანდიტებისა და მათი ბატონების უცხოელ მზვერავთა ყველა ბილწმა ზრახვამ, რომლებიც გამოაშკარავებულ იქნა პროცესზე, გამოიწვია მათდამი სიძულვილის აზვირთება ჩვენს ქვეყანაში, თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყანაში, რომლის ადამიანები, თავისი ცხოვრების შემოქმედნი და ბატონპატრონნი არიან. ამოძრავდა მთელი ჩვენი ხალხი, მზადმყოფი იმისათვის, რომ მკერდით დაიცვას თავისი დიადი მონაპოვარნი, მზადმყოფი იმისათვის, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

ტროცკისტ - ბუხარინელი ბანდიტები ამზადებდნენ ომს და ამ ომში სსრ კავშირის დამარცხებას. მათ განზრახული ჰქონდათ მრისხანე საფრთხის ჟამს გაეხსნათ ფრონტი და შემოეშვათ ფაშისტთა ურდოები ჩვენს მიწა-წყალზე, რათა მშრომელთა სისხლით მოერწყოთ იგი. კაპიტალიზმის რესტავრაციის გულისათვის, კაპიტალისტური ექსპლოატაციის დაბრუნების გულისათვის ისინი უკვე ჰყიდდნენ საბჭოთა ქვეყანას, აძლევდნენ მტრებს უკრაინას, ბელორუსიას, პრიმორიეს, შუა-აზიისა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს. მრავალი წლის მანძილზე „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილენი უცხოეთის დაზვერვების პირდაპირი და დაქირავებული აგენტები იყვნენ, და მთელი მათი საქმიანობა იქითკენ იყო მიმართული, რომ შეესუსტებინათ სსრ კავშირის სამხედრო ძლიერება და მოემზადებინათ მისი დამარცხება მომავალ ბრძოლაში იმპერიალისტებთან.

უცხოეთის დაზვერვებისა და მათი მთავარი ჯაშუშის ტროცკის დირექტივის მიხედვით ტროცკისტ-ბუხარინელმა ჯაშუშებმა მიზნად დაისახეს დაედამბლავებინათ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება, გამოეწვიათ მშრომელთა გაბოროტება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს ისინი იყვნენ, ლიანდაგიდან ხრამებში რომ აგდებდნენ სამხედროტვირთიან მატარებლებს, აფუჭებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მარაგს, ავრცელებდნენ პირუტყვის ეპიდემიურ დაავადებას, არევდარევა შეჰქონდათ ფინანსებში, ისინი იყვნენ, კარაქში ლურსმანსა და ნამტვრევ მინას რომ ჰყრიდნენ, რათა დაეფლითნათ მშრომელთა კუჭები.

აშმორებულ ტროცკისტულ-ბუხარინულ იატაკქვეშეთში, რომელმაც გააერთიანა მთელი კონტრრევოლუციური სიბილწე — ტროცკისტები, მემარჯვენეები, ზინოვიეველები, მენშევიკები, ესერები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები, მეფის ოხრანკის აგენტები და პროვოკატორები, მზადდებოდა ბანდიტურ-სააჯანყებო კულაკური კადრები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლების მოსაწყობად. უცხოეთის დაზვერვებთან პირდაპირი შეთანხმებით და იუდა-ტროცკის დავალებით „მემარჯვენე - ტროცკისტულმა ბლოკმა“ მოაწყო მთელი რიგი ტერორისტული აქტები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. ტროცკისტ - ბუხარინელი ბანდიტების ხელები ამოსვრილია დაუვიწყარი სერგეი მირონის-ძე კიროვის უმწიკვლო სისხლში, ისინი არიან მკვლელები სახელოვანი ბოლშევიკების ვ. რ. მენჟინსკისა, ვ. ვ. კუიბიშევისა, დიდი რუსი მწერლის ა. მ. გორკისა და მისი შვილისა. საბჭოთა ხალხი არასოდეს არ აპატიებს მათ იმას, რომ დაგვიკარგეს ეს ადამიანები.

უმაღლესმა სასამართლომ გამოააშკარავა ტროცკისტ - ბუხარინელი არამზადების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა მთელი წყება. მათ არასოდეს საერთო არა ჰქონიათ რა ხალხთან. რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ ხალხთან ამ არამზადებს, რომლებიც ჯერ კიდევ 1918 წელს შეეცადნენ სიცოცხლე მოესპოთ ლენინისათვის, მიზნად ისახავდნენ დაემხოთ საბჭოთა მთავრობა, დაეპატიმრებინათ და მოეკლათ ლენინი, სტალინი და სვერდლოვი?!

უმაღლესი სასამართლოს განაჩენს ტროცკისტ-ბუხარინელ ქვეწარმავალთა მიმართ ჩვენი ხალხი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა. ამ განაჩენს ხელს აწერენ ყველა მშრომელები, რომლებიც გაერთიანებული არიან დიადი სიყვარულით თავიანთ სამშობლოსადმი, სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობისადმი. სხვანაირი განაჩენი არც შეიძლებოდა ყოფილიყო: **კონტრრევოლუციის მეაბჯრეებს, უცხოეთის დაზვერვათა აგენტებს, ტერორისტებს, დივერსანტებს და მავნებლებს არ დავინდობთ, მათ არ გაბოგინებთ საბჭოთა მიწა-წყალზე!**

ამ ერთი წლის წინათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგი სტალინი აფრთხილებდა პარტიას: „განა ცხადი არ არის, რომ ვიდრე კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, ჩვენში იარსებებენ მავნებლები, ჯაშუშები, დივერსანტები და მკვლელები, რომელთაც უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტები გზავნიან ჩვენს ზურგში?“ ამხანაგმა სტალინმა გამოააშკარავა უცხოეთის დაზვერვათა ვერაგული მეთოდები, და მთელი პარტია, ყველა მშრომელნი შეაიარაღა მტრის გამომჟღავნების ცოდნით, რა ოსტატურადაც არ უნდა ინიღბებოდეს იგი. მთელი საბჭოთა ხალხი სავსებით აფასებს ამხანაგი სტალინის მითითებათა უდიდეს მნიშვნელობას. მათ გადაარჩინეს ათიათასობით და ასიათასობით საბჭოთა ადამიანების სიცოცხლე, მათ საშუალება მოგვცეს მიგვეგნო მტრების გველის ბუდეებისათვის, შეგვეპყრო ისინი და გაგვენადგურებინა.

სტალინური სიფხიზლით შეიარაღებულმა საბჭოთა დაზვერვამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ხალხის საყვარელი შვილი ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვი, უჩვენა მტრებს, თუ რა შეუძლიან მას. ჩვენს სამეურნეო წარმატებებს შეგვიძლია შევუერთოთ ახლა წარმატებანი მტრების განადგურებისა და აღმოფხვრის დარგში. საბჭოთა დაზვერვის მარჯვე და დაუნდობელი დარტყმები იმის საუკეთესო დადასტურებაა, რომ ჩვენ ვისწავლეთ მტრის გამოცნობა და მისთვის იქვე სულის გაფრთხობინება. დაე ახსოვდეთ ეს უცხოეთის დაზვერვებსა და მათ აგენტურას!

ფაშისტ ავაზაკთა ბანდა, მთელი საბჭოთა ხალხის სასიხარულოდ, მოსპობილია! მათ დასტირიან მხოლოდ უცხოეთის დაზვერვები, რომლებმაც დაჰკარგეს საიმედო მონები და ერთგული ბანდიტები. ჩვენ კი ვივლით ჩვენი გზით, ავაშენებთ ახალ, ბედნიერ ცხოვრებას და ერთი წუთითაც არ დავივიწყებთ კაპიტალისტურ გარემოცვას. და ყველა, ვინც გაბედავს ხელი შეუშალოს ჩვენს მშვიდობიან შრომას, ყველა, ვინც განიზრახავს ღალატისა და გამცემლობის შავბნელ საქმეს, ჰპოვებს სიკვდილს. საბჭოთა ხალხი არავის მისცემს თავისი მონაპოვრების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხელყოფის ნებას.

„პრავდის“ მოწინავე, 16/III.

◆

საბჭოთა სასამართლოს განაჩენი — ხალხის განაჩენია

ცოფიან ძაღლებს საკადრისი მიეზღოთ

საქართველოს საბჭოთა მწერლები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენს ფაშიზმის აგენტების, დივერსანტ-მავნებლების, ჯაშუშ-ბანდიტების, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეთა მიმართ.

სახელდახელო მიტინგზე გამოსული მწერლები ს. ეული, ლ. ქიაჩელი, დ. შენგელაია, ბ. ჟღენტი, დ. ბენაშვილი, ალ. გომიაშვილი და სხვანი წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ საზიზღარ ქვეწარმავლებს, ტროცკისტ-ბუხარინელ ბანდიტებს, რომელთაც უნდოდათ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, კაპიტალიზმის აღდგენა და ჩვენი ბედნიერი ხალხისათვის კვლავ მონობის უღლის დადგმა.

უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენი, — ლაპარაკობს მწერალი ამხ. დ. შენგელაია, — საბჭოთა მრავალმილიონიანი ხალხის განაჩენია; ეს განაჩენი არის უდიდესი მწერლის ა. მ. გორკის სიტყვების გამართლება — „მტერი თუ არ ნებდება, მას სპობენ“. ასევე შემუსვრილ იქნება ყველა, ვინც ჩვენი ძლევამოსილი მშენებლობისა და ჩვენი ხალხის წინააღმდეგ ხელს აღმართავს.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი სისაძაგლე, რომელსაც ამ ავაზაკებმა მიმართეს, — ლაპარაკობს ამხ. დ. ბენაშვილი, — მათ მოჰკლეს ლენინ-სტალინის პარტიის საუკეთესო შვილი, მგზნებარე ტრიბუნი ს. მ. კიროვი. ფაშიზმის ამ მახინჯებმა გაიძვერა „ექიმების“ დახმარებით სიცოცხლე მოუსპეს საბჭოთა ხალხისათვის საყვარელ ადამიანებს — ვ. კუიბიშევს და მენჟინსკის; საზიზღარმა ქვეწარმავლებმა მუხანათურად მოჰკლეს საბჭოთა ლიტერატურის კეთილშობილი მედროშე, ჩვენი ეპოქის უდიდესი ჰუმანისტი და სოციალისტური კულტურის დიდი მოამაგე ა. მ. გორკი, რომლის ხმასაც უსმენდა მთელი კულტურული კაცობრიობა, მთელი მსოფლიო.

— ჩვენ, საქართველოს საბჭოთა მწერლები, — ნათქვამია ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, — ვუერთდებით საბჭოთა ხალხის მრისხანე და სამართლიან განაჩენს, მივესალმებით სახელოვან შინსახკომს და მის ფოლადისებურ სახალხო კომისარს ამხ. ნ. ი. ეჟოვს, რომელიც თვალისჩინივით უფრთხილდება მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის ბედნიერ და საამურ ცხოვრებას, ჩვენს დიად სოციალისტურ მშენებლობას, ჩვენს მშვიდობიან კულტურულ აღორძინებას. ჩვენ ერთხელ კიდევ ხმამაღლა, მთელი მსოფლიოს გასაგონად ვაცხადებთ, რომ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის ძლევამოსილი დროშის ქვეშ, მთელი ჩვენი არსებით, ჩვენი სიცოცხლით, ჩვენი შემოქმედებით ვიბრძოლებთ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის ფოლადისებურ კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს მამას, მასწავლებელსა და ბელადს დიდ სტალინს!

განაჩენმა აღგვაფრთოვანა

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ათასორასიანი კოლექტივი 14 მარტს სახელდახელო მიტინგზე აღფრთოვანებით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ გამოტანილ განაჩენს ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეთა დახვრეტის შესახებ.

სიტყვით გამოსული სტახანოველი მუშა-ქალი ჟენია ზაქიძე ამბობს: საბჭოთა სასამართლომ აღასრულა მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა და მილიონიანი მასების გასახარელი სასჯელი გამოუტანა ხალხის უბოროტეს მტრებს — „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეებს. მტრების პასუხად მე ვკისრულობ ვალდებულებას, თუ ახლა ოთხ დაზგაზე ვმუშაობ, ახლო მომავალში ექვს დაზგაზე ვიმუშაო.

— საბჭოთა სახელმწიფოს ურყევ ძლიერებაში დარწმუნებული და მტრების განადგურებით გახარებული ვკისრულობ ვალდებულებას, 150 პროცენტს ქვევით არ დავუშვა ჩემი გეგმის შესრულება, — აცხადებს სტახანოველი ქალი ნელი ბაქრაძე.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „უბოროტესი მტრების პასუხად უფრო მჭიდროდ დავირაზმებით კომუნისტური პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო, შევმჭიდროვდებით სახელოვანი შინსახკომის ორგანოების გარშემო და კიდევ უფრო მაღლა ავწევთ საწარმოო-საფინანსო გეგმების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ქვეყანას მივცემთ იაფს და მაღალხარისხოვან პროდუქციას“.

მკვლელების ბინძური სუნთქვა შეწყვეტილია

მეორე სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა მრავალრიცხოვანმა მიტინგმა უდიდესი სიხარულის გრძნობით მოისმინა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენი ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მიმართ. მიტინგზე გამოსულმა სტახანოველებმა ამხ. ჟ. გეურქოვმა, არ. ნარინიანმა, ხ. მიკირტიჩიანმა, ქ. აბოვიანმა და სხვებმა თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს:

— საბჭოთა ხალხმა საუკუნოდ დასწყევლა და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ფაშიზმის აგენტების, იუდა-ტროცკის მოსყიდული ქოფაკების სახელები. ჩვენმა უმაღლესმა სასამართლომ ჯეროვანი განაჩენი გამოუტანა მათ. ეს განაჩენი არის მშრომელთა განაჩენი ხალხის ამ უბოროტესი მტრების მიმართ. მეორე სამკერვალო ფაბრიკის მრავალრიცხოვანი მიტინგის სახელით უდიდესი სიხარულით ვეგებებით უმაღლესი სასამართლოს განაჩენს ბუხარინის, რიკოვის, იაგოდას, როზენგოლცის, კრესტინსკის, ლევინის, ჩერნოვის, გრინკოს და პირსისხლიანი ფაშიზმის სხვა აგენტების მიმართ.

მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: — ჩვენ, თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის მუშები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სიხარულით მივესალმებით უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენს ფაშიზმის აგენტთა — „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეთა მიმართ. ხალხის ამ გამხეცებული მტრების მოქმედების პასუხად ჩვენი ფაბრიკის მთელი კოლექტივი უფრო გაამახვილებს შემდეგ ბოლშევიკურ სიფხიზლეს, გააუმჯობესებს მუშაობის ხარისხს, მიაწოდებს მშრომელ მოსახლეობას საუკეთესო ხარისხის პროდუქციას, გადაჭარბებით შეასრულებს საწარმოო გეგმას და უფრო ფართოდ გაშლის ფაბრიკაში სტახანოვურ მოძრაობას.

დაე იცოდნენ მტრებმა, რომ ვინც ხელჰყოფს დიადი საბჭოთა ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერ, სიხარულით აღსავსე ცხოვრებას, იგი დაუნდობლად იქნება გასრესილი. ობერბანდიტს ტროცკის და მის თანამოაზრეთ, ფაშიზმის აგენტებს არ ძალუძთ შეაჩერონ დიადი საბჭოთა კავშირის 170-მილიონიანი ხალხის ძლევამოსილი წინსვლა, ვინაიდან საბჭოთა კავშირის მშრომელნი შეიარაღებულნი არიან მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრებით, ვინაიდან საბჭოთა ხალხი მტკიცედ დარაზმულია ჩვენი პარტიის, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის საყვარელი ბელადის, ამხანაგ სტალინის გარშემო.

გარეწრები აღიგავენ პირისაგან მიწისა

საქართველოს ყოველი კუთხიდან, ყოველი ქალაქიდან, საწარმოდან და კოლმეურნეობიდან მოისმის მშრომელთა კმაყოფილების ხმა ხალხის უბოროტესი მტრების, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ სულისჩამდგმელთა, ფაშიზმის საზიზღარ აგენტთა — ბუხარინის, რიკოვის, იაგოდას და სხვა ქვეწარმავალთა სიკვდილით დასჯის გამო. მოხუცები და ახალგაზრდები, მუშები და ინჟინრები, კოლმეურნეები და სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეები, ყველანი ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა მართლმსაჯულების განაჩენს ხალხის ამ უბოროტესი მტრების მიმართ.

სერგეი მირონის-ძე კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები სახელდახელო მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნავენ, რომ ისინი კიდევ უფრო მტკიცედ შემჭიდროვდებიან ბოლშევიკური პარტიისა და მშრომელთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.

საქ. მსუბუქი მრეწველობის ნავდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა სახელდახელო მიტინგმაც ანალოგიური რეზოლუცია მიიღო. მათ იკისრეს კიდევ მეტი ენერგიით იბრძოლონ საწარმოო გეგმების შესასრულებლად.

თბილისის რაიაღმასკომისა და მისი განყოფილებების მუშა-მოსამსახურეების მიტინგზე გამოსული ორატორები ერთსულოვნად მიესალმებოდნენ სახელოვან შინსახკომელებს და მათს ხელმძღვანელს ამხანაგ ეჟოვს ხალხის მტრების — ბუხარინ-რიკოვ-იაგოდას და მათ დამქაშების განადგურების გამო

ზესტაფონში საგაზაფხულო სამუშაოებს აჭიანურებენ

პ. ქიქავა

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სას. სამ. განყ. ინსტრუქტორი.

წელს რაიონის კოლმეურნეობებში უნდა დაითესოს: სიმინდი — 7.370 ჰექტარზე, ბოსტნეული — 25 ჰექტ., საკვები კულტურები — 185 ჰექტ., უნდა გაშენდეს — 346 ჰექტარი ახალი ვენახები, დაიმყნას 5 მილიონზე მეტი ძირი ვაზი, უნდა დამუშავდეს 3.500 ჰექტარზე მეტი ძველი ვენახები.

ეს ავალებს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებსა და სამიწათმოქმედო ორგანოებს სანიმუშოდ მოამზადონ და სტახანოვურად ჩაატარონ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები.

როგორ მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება ზესტაფონის რაიონში? აშკარად არადამაკმაყოფილებლად.

თესვის წინა სამუშაოების ახლანდელი მდგომარეობა (7 მარტისათვის) სერიოზულ საფრთხეს უქმნის გაზაფხულის სამუშაოებს.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოემზადებინათ თესვისათვის ცოცხალი გამწევი ძალა. ეს მოთხოვნა რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში დარღვეულია. მუშა-პირუტყვი უზრუნველყოფილი არ არის უხეში და კონცენტრირებული საკვებით. აქ აკლიათ 181 ცენტნერი კონცენტრირებული და 7.440 ცენტნერი უხეში საკვები.

როდესაც მიწგანის მუშაკებს ვეკითხებით, თუ რა ზომებია მიღებული საკვებით უზრუნველსაყოფად, ისინი უდარდელად აცხადებენ, რაიონი მუშა-პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფილიაო.

მაგრამ ეს მართალი არ არის. აი ფაქტები. კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ (თავმჯდომარე — მჭედლიძე) 160 სული მუშა-პირუტყვისათვის ათი დღის საკვები არ აღმოჩნდა.

კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში 108 სული მუშა-პირუტყვიდან 28 დასუსტებულია. აქ აკლიათ 400 ცენტნერი უხეში საკვები. კლდეეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე კ. ჩხიკვაძე აცხადებს, — კარგად არ ვიცით კოლმეურნეობებში რამდენი ცენტნერი საკვები გვაკლიაო. ეს განცხადება მოწმობს, რომ აქ მუშა-პირუტყვის მოვლა თვითდინებაზეა მინდობილი. იმის გამო, რომ კოლმეურნეობები თავის დროზე არ შესდგომიან პირუტყვის წესიერ მოვლას და სუსტი პირუტყვი დროულად არ გადაუყვანიათ გაძლიერებულ კვებაზე, ეჟოვის სახელობის კოლმეურნეობაში (კლდეეთის სასოფლო საბჭო) დასუსტებულია 8 სული პირუტყვი, კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ — 10, „პირველ მაისში“ — 10, ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში — 13. 15 კოლმეურნეობაში დასუსტებული აღმოჩნდა 130 სული მუშა-პირუტყვი.

ბევრგან არც ბოსლებია წესრიგში მოყვანილი. მინები ჩამტვრეულია და შეუკეთებელი. ნაკელი ყველგან უწესრიგოდ იყრება და არ იღებენ ზომებს მის შესაგროვებლად, არ ზრუნავენ ხარების დაჭედვისათვის.

ვერც სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მხრივ არის სანუგეშო მდგომარეობა, 253 გუთანს აკლია მისაბმელი ჯაჭვები. ბევრია ისეთი კოლმეურნეობა, რომელსაც აკლია სახნისები, გუთნები და მრავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

საქსოფლმომარაგებას დღემდე არ შეუსრულებია მანქანების შეტანის გეგმა, მაგრამ რაც შეტანილია რაიონში, ისიც არ არის გამოყიდული. მაგალითად, ორჯონიკიძის (ზოვრეთის სასოფლო საბჭო), მოლოტოვის (მეორე სვირის), ორჯონიკიძის (კვალითის სასოფლო საბჭო), დიმიტროვის (კლდეეთის სასოფლო საბჭო) სახელობის კოლმეურნეობებში და კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ (დილიკაურის სასოფლო საბჭო) ჩალის საჭრელი მანქანები 7 მარტისათვის არ ჰქონდათ გამოყიდული.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ვენახის სამუშაოები. შამპანურის ჯიშებისათვის გათვალისწინებული 135 ჰექტარიდან 7 მარტისათვის პლანტაჟი შესრულებული იყო 99 ჰექტარზე. საერთოდ კი ვენახის პლანტაჟის გეგმა შესრულებულია 88 პროცენტით, ეს მაშინ, როცა პლანტაჟი 15 თებერვლამდე უნდა დამთავრებულიყო.

რაიონი უზრუნველყოფილი არ არის ნერგით. სულ რაიონს აკლია 613.500 ძირი ნერგი. აქედან შამპანურის ჯიშის — 412.500. აღნიშნულ დანაკლისს რაიონი თავისი რესურსებით ვერ დაფარავს. ამ მხრივ მიწსახკომმა უნდა გაუწიოს მას სერიოზული დახმარება. ამავე დროს გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული ადგილობრივი რესურსების გამოსაყენებლად.

სრული უპასუხისმგებლობაა სათბურების მშენებლობის საქმეში. რაიონში ოთხი სათბურია. სათბურების მომზადების ვადად დაწესებული იყო 5 მარტი. მიუხედავად ამისა, ამ საქმეში დიდი ჩამორჩენაა.

მიწსახკომს დღემდე არ დაუშვია კრედიტი 649 ათასი მანეთის რაოდენობით, რაც აფერხებს კოლმეურნეობების ნერგით მომარაგებას, მაგრამ ნაწილი დაშვებული კრედიტისა მთლიანად არ არის ათვისებული. ესეც აფერხებს მუშაობას. 7 მარტისათვის 90 ათასი მანეთიდან რაიმიწგანისა და მტს-ის უყურადღებობით 40 ათასი მანეთი კოლმეურნეობებს ათვისებული არ ჰქონდათ.

მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ ის გარემოება, რომ ზესტაფონის რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში მოკალათებული იყვნენ ხალხის უკვე გამომჟღავნებული მტრები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საკოლმეურნეო წყობილების დანგრევას. მტრები ანგარიშში მოსტყუვდნენ. ისინი გაცამტვერებული არიან. მათ ვერ შესძლეს სოციალისტური მშენებლობის შეფერხება, მაგრამ მტრებმა ცოტა ზიანი როდი მოგვაყენეს. ყოველივე ეს ავალებს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებს და სამიწათმოქმედო ორგანოებს, ყველა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკს სასწრაფოდ გამოასწორონ მავნებლობის შედეგები.

ამის ერთერთი საუკეთესო პირობა იქნება საგაზაფხულო სამუშაოებში ყველა ნაკლის დროულად აღმოფხვრა და თესვისათვის სანიმუშოდ მომზადება, რათა უზრუნველვყოთ უხვი მოსავალი საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი აყვავებისათვის.

პარტიულ თემაზე

აპელაციების გარჩევა თბილისის პარტორგანიზაციებში

თბილისის პარტორგანიზაციები, ახდენენ რა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციას, დიდ მუშაობას ეწევიან პარტიის რიგებიდან გარიცხულთა აპელაციების გასარჩევად.

ცოცხალი ადამიანისადმი დანაშაულებრივ-ქარაფშუტული მოპყრობის, პატიოსანი, პარტიის ერთგული კომუნისტებისათვის ხელაღებით სახელის გატეხისა და ხალხის მტრებისა და კარიერისტების მიერ საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან მათი გარიცხვის ფაქტებს, რომლებიც პლენუმის გადაწყვეტილებებში იყო აღნიშნული, თბილისის პარტორგანიზაციებშიც ჰქონდა ადგილი. ამას მოწმობენ მრავალრიცხოვანი ფაქტები.

ყოფილი მოჯამაგირე, ამჟამად სტუდენტი ამხ. დ. ჰიაბრიშვილი ორჯონიკიძის სახელობის რაიკომმა იმისათვის გარიცხა პარტიიდან, რომ მან პარტიული დოკუმენტების შემოწმებისას ვერ შესძლო გაეცა პასუხი კითხვაზე: „როდის მიიღო ჩვენმა პარტიამ სახელწოდება კომუნისტური“.

სამკერვალო ფაბრიკა № 2-ის ძველი კადრის მუშა-სტახანოველი ამხ. კ. ჯანაშია გარიცხულია პარტიის რიგებიდან იმისათვის, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს ვერ მოახერხა თავის დროზე შეეტანა საწევრო გადასახადი.

სამედიცინო ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ამხ. საკაშვილი პარტიის რიგებიდან გარიცხულია ხალხის მტრებთან კავშირისათვის. მაგრამ ამ საქმის გამოძიებამ გამოარკვია, რომ საკაშვილს ცილს სწამებდნენ.

ცოტა როდია ერთგული კომუნისტებისადმი უსულგულო-ბიუროკრატიული მოპყრობის ასეთი ფაქტები. საკმარისია ითქვას, რომ 355 აპელაციიდან, რომლებიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში გაარჩიეს რაიკომებმა და პარტიის თბილისის კომიტეტმა, 286 აპელაცია დაკმაყოფილებულია. 286 ამხანაგი აღდგენილია პარტიის რიგებში.

ამჟამად საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებსა და თბილისის კომიტეტში განხილვის პროცესშია 215 აპელაცია, ამ უკანასკნელ ხანს ახლად შეტანილი აპელაციების ჩათვლით.

აპელაციების გარჩევასთან ერთად თბილისის პარტიული ორგანიზაცია დიდ მუშაობას ეწევა იმისათვის, რომ გამოავლინოს და სამუშაოზე მოაწყოს პარტიის რიგებიდან გარიცხულნი. თბილისის კომიტეტმა რაიკომებსა და დიდ პარტიულ ორგანიზაციებს 25 პასუხისმგებელი მუშაკი მიამაგრა. ისინი ამ საკითხებზე მუშაობენ. მარტის დამდეგისათვის გამოვლინებული იყო 75 კაცი, რომლებიც წარსულში, პარტიიდან მათი გარიცხვის შემდეგ, მოხსნილი იყვნენ სამუშაოდან. ამჟამად 50 მათგანი უკვე აღდგენილია სამუშაოზე.

(საქდესი).

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის პოლიკლინიკის უფროსი ექიმი ჯალალანია (საქ. კ. პ (ბ) წევრი) კლინიკის პოლიტწრეში ატარებს მეცადინეობას თემაზე: დებულება საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.
ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

თბილისის რაიონის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ნატა გალდავა გაზაფხულის პირველი ყვავილებით.
ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

დოლს მეტი ყურადღება ესაჭიროება

თელავის რაიონის სოფ. გულგულას სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე—ნიკა ბასილაშვილი) დოლს მოუმზადებელი შეხვდა. კოლმეურნეობას 440 ცხვარი და 8 თხა ჰყავს. აქედან 306 ცხვარი დასადოლებელია. ცხვრის სადგომი ფარეხი ბნელია. მწყემსებს საჭირო რაოდენობით არა აქვთ ნაბდები. ფერმას უხეში საკვების გარდა სხვა საკვები არ გააჩნია. ცხვარს წესიერად არ უვლიან. ამიტომ სიკვდილიანობა ხშირი გახდა. უკანასკნელი 2-3 კვირის განმავლობაში დასადოლებელი 9 ცხვარი მოკვდა. 4 მარტისათვის 25 ცხვარი იყო დადოლებული. 6 ახლად მოგებული ბატკანი უკვე მოკვდა.

ფერმაში მწყემსები არა ჰყავთ საკმაო რაოდენობით. ფერმის გამგემ მრავალჯერ მიმართა კოლმეურნეობის გამგეობას მწყემსების დამატების შესახებ, მაგრამ თავმჯდომარემ მას ყურადღება არ მიაქცია. ასევე უყურადღებოდ დასტოვა მან მწყემსთა ბრიგადირის ამხ. ნ. დალაქიშვილის მოთხოვნა კონცენტრირებული საკვებით მომარაგების შესახებ. უკანასკნელად ფერმის გამგემ კოლმეურნეობის თავმჯდომარის უმოქმედობის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომს წერილობით მიმართა. რაიკომმა ფერმაში მიავლინა თავისი წარმომადგენელი. დადასტურდა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ბასილაშვილი ფერმას საჭირო ყურადღებას არ აქცევს, რისთვისაც მას მიეთითა გადამჭრელი ზომები მიიღოს ფერმაში არსებულ ნაკლოვანებათა დაჩქარებით აღმოსაფხვრელად.

საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის ჩარევის შედეგად ფერმის მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ივ. ბახვაძე

ბრძანება

საქართველოს სს რესპუბლიკაში წყალდიდობასთან მებრძოლი საგანგებო კომისიის თავმჯდომარისა

1938 წ. 18 მარტი.

1. 1938 წლის გაზაფხულის წყალდიდობის დროს შესაძლო ნგრევა-განადგურების თავიდან აცილებისათვის ზომების დროზე მიღების მიზნით წინადადებას ვაძლევ ყველა ორგანიზაციას, რომელთა მუშაობა დაკავშირებულია ნიაღვრებთან, ათი დღის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დასაბუთებული განაცხადები წყალდიდობის მიმდინარეობაზე ცნობების გადაცემის შესახებ იმ პუნქტებში, რომლებიც მათ აინტერესებთ.

2. გაზაფხულის წყალდიდობის დროისათვის მიმაგრებულ იქნან ადგილებზე შემდეგი მუშაკები.

საქართველოს სსრ მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხაზით:

1. **ა. კოტრიკაძე** — საქ. წყალთა მეურნეობის საექსპლოატაციო განყოფილების გამგე.
2. **ვ. ს. ძაგანია** — საექსპლოატაციო სექტორის გამგის მოადგილე (შიო ჩიტაძის ქ. № 3).
3. **შ. ა. ლოსაბერიძე** — წყალდიდობასთან მებრძოლი ჯგუფის ხელმძღვანელი (ძერჟინსკის ქ. № 26).
4. **ფ. ა. პატარაია** — წყალდიდობასთან ბრძოლის ინჟინერ-ინსპექტორი (ლერმონტოვის ქ. № 20).
5. **მ. გ. ჩაჩანიძე** — ინჟინერ-ინსპექტორი (ორჯონიკიძის ქ. № 74).
6. **ვ. მ. ჰიჭინავა** — ინჟინერ-ინსპექტორი (მიასნიკოვის ქ. № 53).
7. **მ. მ. მენაღარიშვილი** — ინჟინერ-ინსპექტორი (ნინოშვილის ქ. № 19-ა).
8. **ე. ა. ცერცვაძე** — ინჟინერ-ჰიდროლოგი, ჰიდრომეტრიის საექსპლოატაციო განყოფილების გამგე (ვანო კალანდაძის ქ. № 13).
9. **ა. ვ. პეტროსოვი** — ინჟინერ-ინსპექტორი (საბჭოს ქ. № 9).
10. **გ. ნ. ზამბახიძე** — საპროექტო განყოფილების გამგე (კალინინის ქ. № 18).
11. **ა. დიასამიძე** — ინჟინერ-ინსპექტორი (მილიციის ქ. № 12).
12. **ა. ე. კანდელაკი** — ინჟინერ-ინსპექტორი (ანდრეევის ქ. № 29).
13. **ა. გ. ბაზაძე** — ინჟინერ-ინსპექტორი (სასამართლოს ქ. № 44).
14. **გ. ნ. ჯაფარიძე** — ინჟინერ-ინსპექტორი (არსენალის ქ. № 37).

ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის ხაზით—თბილისი:

1. **ვ. ნ. რუხაძე** — ჰიდროპროგნოზების უფროსი (პლეხანოვის პრ. № 150).
2. **ვ. მ. გიგინეიშვილი** — მეტეოროლოგიური განყოფილების მეცნიერი ხელმძღვანელი (ლენინის ქ. № 3).
3. **ი. ა. ნაზაროვი** — ჰიდროლოგიური განყოფილების უფროსი.
4. **ტ. პ. ლეჟავა** — ქსელის სექტორის უფროსი.
5. **დ. ა. დეკანოზაშვილი** — დასავლეთ საქართველოს ჰიდროქსელის უფროსი ინჟინერი (ნინოშვილის ქ. № 3).
6. **ვ. ტ. გიგიშვილი** — აღმოსავლეთ საქართველოს ჰიდროქსელის უფროსი ინჟინერი (ავლაბრის ქ. № 6).
7. **ლ. ა. ავალოვი** — ინჟინერი (მუხრანის ქ. № 4).
8. ჰიდროლოგიური სადგურების ყველა უფროსები, თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სისტემის ყველა ჰიდრომეტრები.

წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხაზით:

1. **ა. ი. ზაკი** — ინჟინერ-ჰიდროლოგი (გურამიშვილის ქ. № 10).
2. **გ. ა. ზელგეიმი** — ინჟინერი (პიროგოვის ქ. № 7).

აღნიშნული მუშაკების წასვლა მიმაგრების ადგილებიდან და მათი მივლინებები დაიშვება მხოლოდ საქართველოს სსრ მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის ნებართვით.

3. ამა ბრძანების მე-2 პუნქტში ჩამოთვლილმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ, საქართველოს სსრ მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მოთხოვნით — გაანთავისუფლონ აღნიშნული მუშაკები და გადასცენ ისინი საქართველოს სსრ მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოს განკარგულებაში მათთვის ძირითადი განაკვეთისა და ხელფასის ყველა სხვა სახის შენარჩუნებით გაზაფხულის წყალდიდობის მთელ პერიოდში.

4. საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების საგანგებო კომისიების თავმჯდომარეებმა და საქართველოს სსრ რაიონული საგანგებო კომისიების თავმჯდომარეებმა გამოსცენ ანალოგიური ბრძანებები ადგილებზე იმ ცალკეული მუშაკების მიმაგრების შესახებ, რომლებიც საჭირონი არიან წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოებისათვის.

5. ყველა ორგანიზაციებს ადგილებზე აეკრძალოთ წყალთა მეურნეობის იმ მუშაკების მობილიზაცია ყოველგვარ სამუშაოებზე, რომელნიც დაკავშირებული არიან წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოებთან, და საველე ჰიდრომეტრებისა, რომლებიც მდინარეებზე წყალმზომ საგუშაგოებს ემსახურებიან.

6. ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველომ და შინსახკომის გზატკეცილების სამმართველომ წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაობისათვის საჭირო პირები და ტვირთები ჰგზავნონ რიგს გარეშე საქართველოს სსრ მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოს და თბილისის ერთიანი ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს განაცხადებით.

7. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში განკარგულება გასცეს ყველა ფილიალებისადმი:

ა) წყალდიდობასთან ბრძოლის ხაზით მომუშავე თანამშრომლები რიგს გარეშე დაუშვან საქალაქთაშორისო ტელეფონთან;

ბ) რიგს გარეშე მიიღონ დეპეშები წარწერით „წყალი“ და უზრუნველჰყონ მათი სწრაფი გატარება.

ჩაბარებული დეპეშებისათვის ანგარიში გასწორებულ იქნას თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოსთან ცენტრალიზებული წესით;

გ) დაწესდეს სადღეღამისო მოქმედება ფოსტა-ტელეგრაფის ქვემოთჩამოთვლილი კანტორებისა: ლატი, ხაიში, ონი, ლექსურა, სტალინირი და ფოსტა-ტელეგრაფის სხვა განყოფილებებისა საქართველოს სსრ მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით.

8. ჰიდროპროგნოზებისა და ჰიდროინფორმაციის ხაზით პასუხისმგებელ ხელმძღვანელებად ინიშნებიან ამხ. ვ. ნ. რუხაძე, ვ. მ. გიგინეიშვილი და ა. ი. ზაკი.

9. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ყველა სამუშაოების ორგანიზაციას და ოპერატიულ ხელმძღვანელობას ვაკისრებ საქართველოს სსრ მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს წყალდიდობასთან მებრძოლი საგანგებო კომისიის თავმჯდომარე
ზოგლიძე.

გ. მიხანაშვილი ა. სირუნიანი

წლიური ანგარიშები და შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში

ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობები სწრაფი ნაბიჯით მიდიან წინ — იზრდებიან რიცხობრივად, მტკიცდებიან მეურნეობრივად, პოლიტიკურად. ყოველწლიურად იზრდება ჩვენში მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი.

კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ეს წარმატება სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების გატარების, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი ყურადღებისა და დახმარების, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის, სტახანოვური და დამკვრელური მუშაობის შედეგია.

ამავე დროს ახალ წარმატებათა პირობები ყველგან გამოყენებული არ არის. ჩამორჩენას, აგროტექნიკურ ღონისძიებათა გაუტარებლობას ჯერ კიდევ ვხვდებით მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში. გურჯაანის, ზუგდიდის, ყვარლისა და წალენჯიხის რაიონებში პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების სუსტი მუშაობის შედეგად კოლმეურნეობებში წლიური ანგარიშების შედგენა და შემოსავლის განაწილება ნელი ტემპით და არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ამ რაიონების ხელმძღვანელმა მუშაკებმა მხედველობიდან გაუშვეს ის გარემოება, რომ კოლმეურნეობაში ანგარიშწარმოების მოწესრიგება, კერძოდ, წლიური ანგარიშების დროულად შედგენა და კოლმეურნეთა კუთვნილის დანიშნულებისამებრ გაცემა ფრიად დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა.

გურჯაანის რაიონში ეს მნიშვნელოვანი საქმე რაიონული ორგანიზაციების მიერ თითქმის უყურადღებოდაა მიტოვებული. აქ კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების საერთო კრებებზე განხილვა-დამტკიცების კალენდარული გეგმაც დღემდე არ შეუდგენიათ. პარტრაიკომის მდივნები ამხ. დარაშვილი და კავილაძე, აგრეთვე რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. უტიაშვილი, მტს-ების დირექტორები ამხ. ბარბაქაძე და მეტრეველი, ასევე მიწგანის გამგე ამხ. ცინცაძე კოლმეურნეობებში წლიური ანგარიშების განხილვას არ ესწრებიან. 80 კოლმეურნეობიდან, სადაც წლიური ანგარიშები უკვე მოისმინეს, დასახელებული ამხანაგები თითქმის არცერთში არ დასწრებიან სხდომას, ხოლო რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. თვალჭრელიძემ მხოლოდ რამდენიმე კრებაში მიიღო მონაწილეობა.

გარდა ამისა, კოლმეურნეობებში საერთო კრებები ტარდება მოუმზადებლად. სუსტია კოლმეურნეთა დასწრებაც. მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც წლიური ანგარიში 23 თებერვალს დაამტკიცეს, კრებას არტელის 115 წევრიდან მხოლოდ 40 დაესწრო. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაშიაც 250 წევრიდან საერთო კრებას 102 ესწრებოდა. აქვე კოლმეურნეთა საერთო კრების მუშაობაში თითქმის სრულიად არ ჩანს ქალთა მონაწილეობა, 90 მუშა-ქალიდან ანგარიშის განხილვას მხოლოდ 3 დაესწრო.

კოლმეურნეობის წევრებისათვის წლიური ანგარიშების წინასწარ სათანადო გაცნობას, მის კრიტიკულად შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამავე დროს ზოგან გამგეობის მიერ ჩატარებული სამეურნეო, საორგანიზაციო და ფინანსიური მუშაობის განხილვა მეტად ზერელედ ხდება. მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობაში გამგეობის წერილობითი ანგარიში მოანგარიშემ წაიკითხა, კამათში არავინ გამოსულა, არავითარი პრაქტიკული წინადადება არ შეუტანიათ, სხდომის ბოლოს კი გამგეობის მუშაობა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში სარევიზიო კომისიები საერთო კრების დაწყებამდე წინასწარ არ იხილავენ და არ ამოწმებენ წლიურ ანგარიშებს, გამგეობის ანგარიშთან ერთად საერთო კრებას არ უდგენენ თავიანთ მოხსენებას.

ხშირია შემთხვევა, როცა კოლმეურნეობებში ანგარიშებს ადგენენ საკავშირო მიწსახკომის ინსტრუქციის გაუთვალისწინებლად, დეფექტებით. ამიტომ იმ 80 ანგარიშიდან, რაც გურჯაანის რაიმიწგანმა განიხილა, 10 ანგარიში ცნობილი იქნა უვარგისად და დაუბრუნდა კოლმეურნეობებს.

გარდა ამისა, ლენინის, ტელმანის და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილების გეგმები არ განუხილავს არც გამგეობას, არც საერთო კრებას. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (სოფ. ახალშენი) გამომუშავებული შრომადღეების შეჯამებაში უყურადღებობის გამო სრულიად გამორჩენილია 4 ტრაქტორისტის ნამუშევარი. ზაკურციხის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „კახეთშიც“ მოსავალი ისე გაანაწილეს, რომ 15 კომლისათვის საწყობში არაფერი დარჩა.

ყველა ეს ფაქტი მხოლოდ ერთს ლაპარაკობს — გურჯაანის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილება და წლიური ანგარიშების შედგენა უბრალო და სასხვათაშორისო საქმედაა მიჩნეული.

მსგავსი მდგომარეობაა ზუგდიდის რაიონში. ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ იცავენ წესდების იმ მუხლს, სადაც ნათქვამია: „საერთო კრება კანონიერია იმ შემთხვევაში, თუ მას დაესწრო წევრთა საერთო რიცხვის ნახევარზე არანაკლები ყველა საკითხის გადასაჭრელად, გარდა ისეთ საკითხებისა, როგორიცაა: არტელის გამგეობის და თავმჯდომარის არჩევა, არტელის შემადგენლობიდან გამორიცხვა და სხვადასხვა ფონდების ოდენობის დაწესება, რომელთა გადასაჭრელად საჭიროა, რომ საერთო კრებას დაესწროს წევრთა საერთო რიცხვის ორმესამედზე არანაკლები“.

კოლმეურნეობა „კოლხიდაში“ წლიური ანგარიშების შედგენა 3 თებერვალს დაამთავრეს, მაგრამ საერთო კრებას, სადაც ის დაამტკიცეს, 246 წევრიდან მხოლოდ 106 ესწრებოდა. შემოსავლის განაწილება 5 მარტსაც დამთავრებული არ იყო, — გაუნაწილებელი იყო სიმინდი 150 ცენტნერი და ფულად 171.834 მანეთი. ამას გარდა, მთელ რიგ ორგანიზაციებსა და პირებზე ირიცხება კოლმეურნეობის მნიშვნელოვანი თანხა. — მიწგანზე ირიცხება 175 მანეთი, ნარაზენის ჩაის ფაბრიკაზე — 2.034, სოფლმომარაგებაზე — 7.500 მანეთი. ამ კოლმეურნეობაში ბუხჰალტერ პ. კირიას უკანონოდ მიღებული აქვს 783 მანეთი, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ყურაშვილს — 621 მანეთი. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ზომები არავის მიუღია.

რა მდგომარეობაა ლაგოდეხის, სიღნაღის, თელავის, ხაშურის, საგარეჯოს და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებში? — შემოწმებამ ცხადჰყო, რომ კოლმეურნეობებში წლიური ანგარიშების განხილვა-დამტკიცების მოუწესრიგებლობა, მათი შედგენის დაგვიანება, მოსავლის განაწილების გაჭიანურება, გარდა თვით კოლმეურნეობათა და სასოფლო საბჭოების სუსტი მუშაობისა, იმის შედეგია, რომ მიწსახკომი, აგრეთვე პარტიის რაიკომების უმრავლესობა, რაიაღმასკომები, მიწგანები და მტს-ები შრომის ორგანიზაციის საკითხებს, — ამ მეტად პასუხსაგებ საქმეს, — უმთავრესად აღრიცხვისა და სტატისტიკის დარგის მუშაკებს ანდობენ. ამას ისიც ადასტურებს, რომ საკავშირო მიწსახკომისაგან მიმდინარე წლის 10 იანვარს მიღებული ინსტრუქცია წლიური ანგარიშების შედგენის შესახებ რაიონებს მხოლოდ 22 იანვარს დაეგზავნათ. იმავე ინსტრუქციაში კი ნათქვამია, რომ კოლმეურნეობები ვალდებულნი არიან თავიანთი ანგარიშების შედგენა 1938 წლის 1 იანვრიდან დაიწყონ.

რესპუბლიკაში არსებულ 4.391 კოლმეურნეობიდან წლიური ანგარიშების შედგენა და საერთო კრებებზე დამტკიცება 1 მარტს დამთავრებული ჰქონდა 3.743 კოლმეურნეობას.

სუსტად მიმდინარეობს წლიური ანგარიშების განხილვა და დამტკიცება საქართველოს მიწსახკომშიც. 19 რაიონიდან, რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ წლიური ანგარიშები, 5 მარტისათვის განხილული და დამტკიცებული იყო მხოლოდ 4 რაიონის (მახარაძის, წულუკიძის, ლანჩხუთისა და აბაშის), ხოლო ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშები ცნობილ იქნა უვარგისად და დაბრუნებულ იქნა შესასწორებლად.

ძალიან ჭიანურდება შემოსავლის საბოლოო განაწილება. რესპუბლიკური შეჯამებული ცნობების მიხედვით ნატურალური შემოსავალი განაწილებული იყო 22 რაიონის 1255 კოლმეურნეობაში, ფულადი ნაწილი კი მხოლოდ 785 კოლმეურნეობაში.

მეტად სუსტად მიმდინარეობს შემოსავლის საბოლოო განაწილება თელავის რაიონში — გაუნაწილებელია 74 კოლმეურნეობაში, ახალციხის რაიონში (26 კოლმ.), წალკის (41 კოლმ.), ვანის (27), ცხაკაიას (45), ჩოხატაურის (24), ლანჩხუთის (28 კოლმ.).

სამეურნეო და დამამზადებელი ორგანიზაციების გადაუდებელი მოვალეობაა დროულად დააკმაყოფილონ კოლმეურნეობები კუთვნილი თანხებით, დაჩქარებით გაუსწორონ მათ ანგარიშები.

რატომღაც ეს საქმე ზოგან აქამდე სათანადოდ შეგნებული არა აქვთ, — ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ცარიელი დაპირებებით ცდილობს დროის მოგებას, საქმის გაჭიანურებას. აბაშის ადგილობრივ მრეწველობას კოლმეურნეობებისათვის არ გადუხდია მათგან ნაყიდი არახისის საფასური 1.302.907 მანეთი, მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებისათვის კოოპერატივებსა და ჩაის ფაბრიკებს არ გადაუხდიათ 596.000 მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ყოველმხრივ ზუსტად გატარებას, ყველა ვალდებულების თავის დროზე და უნაკლოდ შესრულებას მაგრად უნდა მოჰკიდონ ხელი საქ. კ. პ. (ბ) რაიონულმა კომიტეტებმა, რაიაღმასკომებმა, სამიწათმოქმედო ორგანოებმა, ყველა კოლმეურნეობამ. კოლმეურნეობებში წლიური ანგარიშების შედგენა-გაფორმება, შემოსავლის საბოლოოდ განაწილება, დავალიანების ლიკვიდაცია უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე და გადაუდებლად ამ სამუშაოთა გაჭიანურება შეუწყნარებელია.

◆

მესელეთა სრულიად-საკავშირო თათბირი

13 და 14 მარტს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში ტარდებოდა მესელეთა სრულიად-საკავშირო თათბირი.

თათბირმა განიხილა სელის „დოლგუნეცის“ მოსავლიანობის აწევის, სელის ბოჭკოსა და თესლის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები. მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. ე. ვოლკოვი.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია კამათში გამოსულ ჟიტომირის ოლქის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის რგოლის უფროსის ამხ. ბარანოვსკის სიტყვამ. ბარანოვსკის ქალმა უამბო თათბირს, თუ როგორ მიაღწია მან სარეკორდო მოსავალს ჰექტარიდან 20,6 ცენტნ. სელის ბოჭკოს მიღებას.

მესელეობის სტახანოველებმა, აგრონომებმა, მეცნიერულმა მუშაკებმა შემოიტანეს ძვირფასი წინადადებები მეთესლეობის, აგროტექნიკის და სელის პირველადი დამუშავების გაუმჯობესებისათვის.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. რ. ი. ეიხე. გუშინ 14 მარტს მესელეთა სრულიად საკავშირო თათბირი დაიხურა.

(საქდესი).

ავსტრია—გერმანიის ფაშისტების ჩექმის ქვეშ

ჰიტლერი ვენაში

ვენა, 15 მარტი (საკდესი). გუშინ საღამოს ლინციდან ვენაში ჩამოვიდა ჰიტლერი.

ამჟამად ვენაში იმყოფება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ მოხელეებთან ერთად.

„ვენის მთავრობამ“ ხანგრძლივი შვებულება მისცა ავსტრიის ელჩებს ლონდონსა, პარიზსა და პრაღაში.

ავსტრიის ტერიტორიაზე მყოფი გერმანიის ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა ფონ-ბეკმა გასცა ბრძანება, რათა ავსტრიის ყოფილი ჯარების ყველა ნაწილმა მიიღოს „ფიურერისა და რაიხსკანცლერისადმი“ ერთგულების ფიცი. ვენაში ფიცი ჯერ კიდევ გუშინ ჩატარდა.

„მთავრობამ“ შემოიღო შემნახველ სალაროებიდან და ბანკებიდან ფულის გამოტანის შეზღუდვა იმ მიზნით, რომ „ხელი შეუშალოს კაპიტალის გასვლას“. ვენის ბირჟა დღემდე დახურულია.

ავსტრია გამოდის ერთა ლიგიდან

ჟენევა, 15 მარტი (საკდესი). ავსტრიის მუდმივმა დელეგატმა ერთა ლიგაში ფლიუგლმა განაცხადა, რომ იგი უარს ამბობს თავის მოვალეობათა შესრულებაზე. ჯერ კიდევ არ არის მიღებული ფორმალური ცნობა ერთა ლიგიდან ავსტრიის გამოსვლის შესახებ. იმის გამო, რომ არავინ იცის, თუ როგორ შესრულდება შემდეგში ავსტრიის საერთაშორისო საფინანსო ვალდებულებანი, დღეს ჟენევის ბირჟაზე არ სწარმოებდა ავსტრიის ფასიანი ქაღალდების კოტირება.

მასობრივი დაპატიმრება ვენაში

ვარშავა, 15 მარტი (საკდესი). პოლონეთის ოპოზიციურ პრესაში იბეჭდება ცნობები ვენის მოსახლეობის ნამდვილი სულიერი განწყობილების შესახებ გერმანულ ოკუპაციასთან დაკავშირებით.

გაზეთი „ნოვა პრავდა“ ათავსებს თავისი ვენელი კორესპონდენტის სტატიას, რომელიც სწერს: „ენტუზიაზმი“, რომლითაც თითქოს ვენის მოსახლეობა ეგებება გერმანელ ოკუპანტებს, ხელოვნური ინსცენირების შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდება ვენის იმ რაიონებში ყოფნის დროს, რომლებიც დაშორებულია ცენტრს, ქალაქის მთელი რიგი რაიონები თითქოს გლოვითაა მოცული. ვენის მუშათა რაიონები — ფლორიდსდორფი და ოტაკრინგი, წვრილბურჟუაზიული — იოზეფშტადტი სრულიად დაცალიერებულია. ყურადღებას იპყრობს სახლების მაგრად ჩაკეტილი ჭიშკრები და ჩამოშვებული ფარდები ფანჯრებზე. ქალაქში დადის ხმები, განაგრძობს კორესპონდენტი, რომ ვენაში ჰიტლერის ჩამოსვლის გადადება გამოწვეული იყო მეტად დაძაბული ატმოსფეროთი, რომელშიაც ყუმბარის აფეთქებაც კი მოსალოდნელი იყო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გესტაპოს (გერმანიის საიდუმლო პოლიციის) ათასობით აგენტებმა ჰიმლერის პირადი ხელმძღვანელობით „გასწმინდეს“ ეს ატმოსფერო, ჰიტლერმა გაბედა ვენაში ჩამოსვლა“.

მეტად დამახასიათებელია აგრეთვე „კურიერ პორანის“ ვენელი კორესპონდენტის ცნობა მასობრივი დაპატიმრების შესახებ, რაც გესტაპომ მოახდინა ვენაში ჰიტლერის ჩასვლის წინა დღეს. შემდეგ კორესპონდენტი მიუთითებს, რომ ავსტრიაში უკვე აწესებენ სურსათ-სანოვაგის შეზღუდულ მოხმარებას ფაშისტური გერმანიის მსგავსად.

უცხოელ ჟურნალისტთა დაპატიმრება

ლონდონი, 15 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ვენიდან იუწყება, რომ ყველა უცხოელი ჟურნალისტი, რომლებიც წინასწარი შეთანხმების საფუძველზე წავიდნენ ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც ისინი ჰიტლერს უნდა მიეღო, დააკავეს ვენაში სამინისტროს შენობაში. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტმა სამინისტროს შენობიდან ტელეფონით გადასცა: „უცხოელ კორესპონდენტებს, რომლებიც ავსტრიის ამბებთან დაკავშირებით ჩამოვიდნენ ვენაში, არ აძლევენ ნებას დასტოვონ სამინისტროს შენობა ვითომდა იმის გამო, რომ ჰიტლერს აქვს ოფიციალური დარბაზობა. როდესაც კორესპონდენტები გასავლისაკენ გაემართნენ, გერმანელმა გუშაგმა უბრძანა მათ უკანვე გაბრუნებულიყვნენ და თან განუცხადა: „მე მივიღე ბრძანება დაუყოვნებლივ გესროლოთ, თუ კიბე არ იქნა განთავისუფლებული“. კატეგორიულად არის ნაბრძანები დახურონ კანცელარიიდან ყველა გასასვლელი. ამჟამად ყველა უცხოელი ჟურნალისტი ფაქტიურად დაპატიმრებულია“.

დაიხურა ავსტრიის დიპლომატიური მისია რომში

რომი, 15 მარტი (საკდესი). ავსტრიის ელჩმა რომში ბერგერ-ველდენეგმა გუშინ ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო და აცნობა მას, რომ, მის მიერ მიღებული მოწერილობის თანახმად, იხურება ავსტრიის დიპლომატიური მისია რომში და მისი ფუნქციები გადადის გერმანიის საელჩოზე. ანალოგიური მოწერილობა მიიღო ავსტრიის მისიამ ვატიკანთან.

პლებისციტი ჰიტლერისებურად

ბერლინი, 15 მარტი (საკდესი). აფასებს რა ინგლისის პოზიციას ავსტრიის საკითხში, „ფელკიშერ ბეობახტერი“ სწერს: „ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ჩემბერლენმა თვითონ აღიარა გერმანიისა და ავსტრიის შეერთების აუცილებლობა“. ეხება რა ჩემბერლენის განცხადებას თემთა პალატაში, „ფელკიშერ ბეობახტერი“ სწერს: „ბრიტანეთის მთავრობის მეთაურის განცხადებამ იმედი უნდა გაუცრუოს პარიზის განსაზღვრულ წრეებს, რომლებიც იმედებს ამყარებდნენ ლონდონზე დასავლეთის ორი მოკავშირე სახელმწიფოს მომავალ პოზიციაში შუა ევროპის საკითხებზე“.

ამავე დროს „ფელკიშერ ბეობახტერი“ ჩემბერლენის სიტყვას უკეთებს შენიშვნას, რაც განუმარტავს ინგლისის პრემიერს, თუ რას ნიშნავს პლებისციტი ჰიტლერისებურად. „პრემიერ-მინისტრი, — სწერს გაზეთი, — როგორც სჩანს, ცუდად არის ინფორმირებული გერმანიის საქციელზე ავსტრიის პლებისციტში. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ არა პლებისციტის, როგორც ასეთის, არამედ იმ პლებისციტის, რომელიც შუშნიგს უნდოდა“.

საპროტესტო მიტინგები გერმანიის მიერ ავსტრიის ოკუპაციის წინააღმდეგ

ლონდონი, 15 მარტი (საკდესი). კომპარტიის ლონდონის ორგანიზაცია 14-დან 20 მარტამდე ლონდონში ატარებს მთელ რიგ საპროტესტო მიტინგებსა და დემონსტრაციებს გერმანიის მიერ ავსტრიის ოკუპაციის წინააღმდეგ. პირველი მიტინგი, რომელსაც რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო, გაიმართა გუშინ გაიდ-პარკში. მიტინგის შემდეგ დემონსტრანტები გაემართნენ მთავრობის შენობისაკენ, ხოლო შემდეგ თემთა პალატის შენობისაკენ, რომლის შესასვლელთან თავი მოიყარა დაახლოებით ათასმა კაცმა. ცხენოსანი პოლიციის დიდმა რაზმებმა გაჰფანტეს შეკრებილნი და გამოედევნენ მათ. დაიჭირა ერთი ქალი და დააპატიმრეს სამი კაცი.

ნიუ-იორკი, 15 მარტი (საკდესი). ვაშინგტონის პოლიციამ დააპატიმრა 29 ანტიფაშისტი, რომლებმაც გერმანიის მიერ ავსტრიის დაპყრობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მოაწყეს დემონსტრაცია გერმანიისა და ავსტრიის საელჩოებთან ვაშინგტონში. როგორც გამოქვეყნებული იყო, ვაშინგტონში ავსტრიის საელჩოს შენობაზე ფრიალებს ბაირაღი ფაშისტური სვასტიკით.

ამასწინათ კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც კრძალავს დემონსტრაციების მოწყობას საელჩოებთან.

ნიუ-იორკი, 15 მარტი (საკდესი). კონგრესის წევრმა, ნიუ-იორკის შტატის წარმომადგენელმა, შეიტანა წინადადება, რათა შესწყდეს ურთიერთობა გერმანიასთან, ვიდრე არ იქნება აღდგენილი ავსტრიის დამოუკიდებლობა.

გამოძახილი საფრანგეთში ჩემბერლენის სიტყვის გამო

პარიზი, 15 მარტი (საკდესი). ჩემბერლენის გუშინდელმა გამოსვლამ თემთა პალატაში აშკარად გაუცრუა იმედი საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს. გაზეთები, აღიარებენ რა, რომ ჩემბერლენმა თავის სიტყვაში დაჰგმო „ჰიტლერის მეთოდები“, ამავე დროს არ მალავენ, რომ საფრანგეთში მოელოდნენ ინგლისის პრემიერის უფრო ენერგიულ და ნათელ განცხადებებს.

„პტი პარიზიენი“ შენიშნავს, რომ „ჩეხოსლოვაკიისადმი ინგლისის შესაძლო დახმარების შესახებ სიტყვა არასაკმაოდ ნათელი იყო“. შრომის საყოველთაო კონფედერაციის ორგანო „პეპლი“ სწერს, რომ „ჩემბერლენი, ეშინია რა შეეჯახოს ინგლისის საზოგადოებრივ აზრს, ცბიერობს მასთან“.

„საფრანგეთში, — სწერს პერტინაქსი „ეკო დე პარიში“, — ბევრი მწუხარებით შენიშნავს, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა თავის სიტყვაში არ შეიტანა უფრო გარკვეული დეკლარაცია საფრანგეთთან სოლიდარობისა საფრანგეთ-ჩეხოსლოვაკიის იმ ხელშეკრულების განხორციელების შესახებ, რომელიც ხელმოწერილ იქნა ლოკარნოში 1925 წლის 16 ოქტომბერს. ამ ხელშეკრულებით ჩვენ მიერ გარანტირებული იყო ხელშეკრულება შეთანხმებისა და არბიტრაჟის შესახებ, ხელმოწერილი იმავე დღეს გერმანიის მთავრობის მიერ ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან“.

„ლუმანიტე“ სწერს: „ჩემბერლენს თითქოს ავიწყდება, რომ ჰიტლერმა, ხელში ჩაიგდო რა ავსტრია, 12 საათის განმავლობაში დაარღვია 15 ხელშეკრულება და საერთაშორისო შეთანხმება“.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი.

ესპანეთის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, რომ 14 მარტს მეამბოხეებმა მიაღწიეს ალკანიზს და კალანდეს (კასპეს სამხრეთ-დასავლეთით). ალკანიზი დაიკავა იტალიის მოტორიზებულმა კოლონამ.

ცენტრალურ და სამხრეთის ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

ავიაციის მოქმედება.

14 მარტს დილით რესპუბლიკის ავიაგამანადგურებლებმა ალკანიზის მახლობლად ბრძოლა გაუმართეს ფაშისტების „ფიატის“ ფირმის 30 თვითმფრინავს. ბრძოლის შედეგად ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი. მეორე ბრძოლაში რესპუბლიკელებმა ჩამოაგდეს „ფიატის“ კიდევ 3 თვითმფრინავი.

რატომ არ არის ბორჯომის წყალი?

უკვე ორი თვეა, რაც თბილისში არ იშოვება ბორჯომის მინერალური წყალი. რატომ მოხდა ასე, რით აიხსნება ეს გარემოება?

ამ საკითხზე საქ. საკურორტო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. მ. კობახიძემ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი განუცხადა:

— ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის ყოფილმა „ხელმძღვანელებმა“, ამჟამად გამომჟღავნებულმა ხალხის მტრებმა საქმე ისე მოაწყეს, რომ ჩამომსხმელი ქარხნის რემონტისას ბაზარი უწყლოდ დარჩენილიყო. მათ არ მოიმარაგეს წინათ ჩამოსხმული წყალი, მიიღეს ყველა ზომა, რომ წყლის ხარისხი გაუარესებულიყო და სხვ. ამის გამო, ჩვენ დაგვჭირდა მოგვეხდინა ამ ქარხნის კაპიტალური რემონტი, რომ სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდეგ წყლის ხარისხიც გაუმჯობესებულიყო და პროდუქციის გამოშვებაც გაგვედიდებინა.

ამჟამად ქარხნის რემონტი დამთავრებულია და წყლის ჩამოსხმას ქარხანაში 1 მარტიდან შეუდგნენ. უკვე ჩამოსხმულია 300.000-მდე ლიტრი წყალი, რომელიც ამ დღეებში გამოვა თბილისის ბაზარზე. ამჟამად ქარხანა ყოველდღიურად უშვებს 60.000 ლიტრ წყალს, სულ კი მიმდინარე წლის განმავლობაში 13 მილიონ ლიტრამდე წყალს გამოუშვებს. ლაბორატორიული შემოწმებიდან გამოირკვა, რომ ახლად ჩამოსხმული ბორჯომის წყალი საუკეთესო ხარისხისაა.

საკურორტო სეზონის წინ

საქართველოს კურორტთა სამმართველო გაცხოველებით ემზადება 1938 წლის საკურორტო სეზონისათვის. საქართველოს კურორტებზე არსებული 14 სანატორიუმი და 2 პანსიონატი (მხედველობაში მიღებული არ არის საუწყებო სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები), სადაც 1.521 საწოლი ითვლება, წელს გაატარებენ 13.090 ავადმყოფსა და დამსვენებელს. აფხაზეთის 6 სანატორიუმი და 5 პანსიონატი 1.956 საწოლით გაატარებს 16.825 კაცს, აჭარის ერთი სანატორიუმი 156 საწოლით—1350 კაცს, სამხრეთ-ოსეთის ერთი სანატორიუმი და ერთი პანსიონატი 220 საწოლით—880 კაცს.

მიმდინარე წელს დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების კაპიტალური შეკეთებისათვის, სანატორიუმების კეთილმოსაწყობად, სამკურნალო დაწესებულებების გასაფართოვებლად, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევი მუშაობისათვის ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად გადადებულია 7 მილიონ-ნახევარი მანეთი.

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში დამთავრდება წყალტუბოს კლინიკური სანატორიუმის მშენებლობა. სანატორიუმს 75 საწოლი ექნება. იგი დაჯდება 2.150.000 მანეთად. აღნიშნულ სანატორიუმში ფართოდ იქნება გაშლილი სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა.

ამავე დროისათვის დამთავრდება საabazano შენობა 30 აბაზანით. იგი დაჯდება 1.273.000 მან., დამთავრდება აგრეთვე 53-ოთახიანი სასტუმრო და ჰიგიენური აბანო. ჰიგიენური აბანო ერთდროულად გაატარებს 60 კაცს. მალე მზად იქნება კურორტის სამრეცხაო. სეზონის გახსნისათვის დამთავრდება აგრეთვე კანალიზაციის მშენებლობა.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ახალი კურორტის მენჯის (ცხაკაიას რაიონი) კეთილმოწყობას. შენდება ახალი საბაზანო შენობა, რომელიც მზად იქნება მე-3 კვარტალში. შენობა დაჯდება 1.775.000 მან., მთავრდება 53-ოთახიანი სასტუმროს აგება.

კურორტ ბახმაროზე სეზონის გახსნისათვის მზად იქნება ახალი 12-ოთახიანი საცხოვრებელი სახლი და ჰიგიენური აბანო.

ქობულეთში მე-3 კვარტალში მზად იქნება კლუბი და სასადილოს შენობა. ამავე დროისათვის დამთავრდება ახალი ჰიგიენური აბანო, რომელიც ერთდროულად გაატარებს 66 კაცს. აბანოს აგება 275 000 მანეთად დაჯდება.

ჯავაში (სამხრეთ-ოსეთი) დამთავრდება კურორტის ელექტროფიკაცია.

დიდი ყურადღება მიექცევა ავადმყოფთა და დამსვენებელთა კულტურულ მომსახურებას. ამ მიზნით დადებულია ხელშეკრულება საქფილეგთთან. ბორჯომის, აბასთუმნისა და წყალტუბოს პარკებს მომსახურებას გაუწევენ სიმფონიური, სასულე და ჯაზორკესტრები, აგრეთვე სპეციალური საკონცერტო ბრიგადები. დამსვენებელთა კულტმომსახურება პირველი ივნისიდან დაიწყება.

საკავშირო მნიშვნელობის კურორტებზე მოეწყობა უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე ფართოდ იქნება წარმოდგენილი „ვეფხის-ტყაოსნის“ ილუსტრაციები. საბჭოთა ბედნიერ დამსვენებელს საშუალება მიეცემა გაეცნოს გენიალური პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

კურორტების ბიბლიოთეკების შესავსებად გადადებულია 20.000 მანეთი.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საბჭოთა ქვეყნის ნორჩი თაობის ლაღად დასვენებას. ამ მიზნით გაფართოვებული იქნება პატარა ცემის, წაღვერისა და სურამის საბავშვო სანატორიუმები.

თბილისის განათლების განყოფილების აგრობიოლოგიურ სადგურთან მოეწყო საბავშვო ავტოსკოლა-კლუბი. სურათზე: კლუბის ხელმძღვანელი ამხ. ჯაფარიძე ასწავლის ბავშვებს მოტოციკლის მართვას.

ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

24-25 მარტს თბილისში გაიმართება საქალაქო შეჯიბრება ფარიკაობაში. სურათზე: შეჯიბრების მონაწილე, საქართველოს ერთერთი საუკეთესო მეფარიკავე ირაკლი ეგნატაშვილი. ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ბრძოლა ავარიებთან

19 მარტს, საღამოს 7 საათზე, ტრამვაელთა კლუბში (პლეხანოვის პროსპ. № 182) შესდგება ავტოსაწარმოთა და ტრამვაის მუშაკთა საერთო-საქალაქო კრება.

დღის წესრიგშია: შრომის დისციპლინის მდგომარეობა და ბრძოლა ავარიებთან. მომხსენებელია ავტოინსპექციის უფროსი ამხ. ხოროშილოვი.

კრებები და მოხსენებები

● **17 მარტს, საღამოს 8 საათზე**, რუსთაველის სახელობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შესდგება რუსთაველის სექციის სხდომა, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს პ. ინგოროყვა თემაზე: „ჰომეროსი ძველ ქართულ ლიტერატურაში“.

● **19 მარტს, საღამოს 7 საათზე**, საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოებაში (ფურცელაძის ქ. № 3, მასწავლებლის სახლი) გიორგი ლომთათიძე წაიკითხავს მოხსენებას: „ზემო-იმერული ხალხური ადათ-ჩვევები და ცრუმორწმუნეობის გადანაშთები“.

დასწრება თავისუფალია.

ფეხბურთი

„დინამო“ — „ბურევესტნიკი“

თბილისის სპორტსმენები გაცხოველებით ემზადებიან გაზაფხულის სეზონისათვის. სასპორტო დარბაზებში საზამთრო ვარჯიშობის შემდეგ ფეხბურთელთა გუნდები მინდორზე გამოდიან. 12 მარტს გაიმართა სოხუმის „დინამოს“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელთა ამხანაგური შეჯიბრება. მატჩი თბილისელებმა მოიგეს ანგარიშით 3:0.

18 მარტს თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდი პირველ სავარჯიშო მატჩს ჩაატარებს. მის წინააღმდეგ გამოვა „ბურევესტნიკის“ ფეხბურთელთა პირველი გუნდი.

თბილისის „დინამო“ წელს თავისი ძირითადი შემადგენლობით ებმება „საკავშირო თასისა“ და საკავშირო პირველობის გათამაშებაში. მას შეემატა მხოლოდ ერთი ახალი ფეხბურთელი ბერეჟნოი.

* * *

დამთავრდა ოსტატების გადასვლა ერთი გუნდიდან მეორეში. ამის შედეგად მთელი რიგი გუნდები მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ. საბჭოთა კავშირის ცნობილი მეკარე ანატოლი აკიმოვი „სპარტაკიდან“ „დინამოში“ გადავიდა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა მოსკოვის „დინამოს“ მცველთა ისედაც ძლიერი ხაზი. „დინამოს“ შემადგენლობა დანარჩენ ნაწილში უცვლელი დარჩა.

„სპარტაკში“ მთელი რიგი ცვლილებანი მოხდა. როგორც ვთქვით, აკიმოვი ამჟამად „დინამოშია“, მეორე მეკარე ი. რიჟოვი „მკვებავში“ გადავიდა. მათ ნაცვლად „სპარტაკს“ ახლა სამი ახალი მეკარე ჰყავს: გოლოვკინი ქ. გორკიდან, „დინამოს“ ყოფ. მეკარე კვასნიკოვი და ნიჭიერი ჟმელკოვი. ეს უკანასკნელი „ხელოსნებიდან“ გადავიდა „სპარტაკში“, ივი თამაშის სტილის მხრივ ძალიან ჰგავს აკიმოვს. გაძლიერდა „სპარტაკის“ თავდასხმელთა ხაზი, რომელსაც შეემატნენ „ლოკომოტივის“ ყოფ. ცენტრ - ფორვარდი ალ. სოკოლოვი, მოროზოვი „დინამოდან“ და ნ. ისაევი, რომელიც წინათ „ცდკა“-ში თამაშობდა.

„ლოკომოტივს“ შეემატა ორი ახალი მოთამაშე — ნიჭიერი მარჯვენა გარემარბი გრაჩევი („კრასნოე ზნამია“) და „მეტალურგის“ ყოფილი ფორვარდი ოგურცოვი.

„ცდკა“, რომელიც შარშან სუსტად თამაშობდა, წელს მნიშვნელოვან სპორტულ ძალად გაიზარდა. გუნდს შეემატა სამი პირველხარისხოვანი მოთამაშე — მიხაილოვი („სპარტაკი“), ფედოტოვი („მეტალურგი“) და განკურნებული სავანოვი.

დიდი ცვლილებები მოხდა აგრეთვე „მეტალურგში“. მან გააძლიერა მცველთა ხაზი და განსაკუთრებით თავდამსხმელთა სამეული. გუნდს შეემატნენ პუტილინი („სტალინეცი“), პოლისკო („სპარტაკი“), მიტრონოვი („ცდკა“), კაპელკინი (ლიუბერეცკის შრომის კომუნა), ნაიშევი („ცდკა“).

პ ა რ ტ კ ა ლ ე ნ დ ა რ ი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

17 მარტს.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ბოლშევიკების პარტია საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში (1926-1929 წ. წ.) —ქართულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. რამიშვილი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

* * *

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: სოციალიზმი და კომუნიზმი. კონსულტანტები ქართულ ენაზე — ამხ. ლარცულიანი, რუსულ ენაზე—ამხ. ა. გიორგაძე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

* * *

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: პარიზის კომუნის გამოცხადების მე-67 წლისთავი—რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ი. რუხაძე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

* * *

17 მარტს, დღის 3 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში იმ აგიტატორებისათვის, რომლებიც მუშაობენ არაორგანიზებულ მოსახლეობას შორის აგიტპუნქტებში, შესდგება მოხსენება თემაზე: სტალინური კონსტიტუცია და ანტირელიგიური პროპაგანდის ამოცანები. მომხსენებლები: ქართულ ენაზე—ამხ. შარაშენიძე, რუსულ ენაზე—ამხ. სახაროვი.

* * *

17 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში პარტკომების მდივნების, პარტორგების, მათი მოადგილეების, პროპაგანდისტების, აგიტატორებისა და მთელი პარტაქტივისათვის შესდგება ამხ. ბაბალოვის მოხსენება თემაზე: უცხოეთის სადაზვერვო ორგანოებისა და მათი ტროცკისტულ-ბუხარინული აგენტურის ჯაშუშურ-დივერსიული მუშაობის ხერხები და მეთოდები. საბჭოთა დაზვერვის მნიშვნელობა ხალხის მტრებთან ბრძოლაში.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. არშალუის საჰაკის-ასულ შირვანის, ანდრია ვიქტორის-ძე გაბუნიას, ოგან არუთინის-ძე არუთინიანს და სტეფანე გრიგოლის-ძე ვართანოვს გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ძამოევთან (ძერჟინსკის ქ. № 8, ოთახი № 21).

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. ხატიაშვილი.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თ ე ა ტ რ ი

17/III მუდმ. ადგ. ტალ. № 135 დ ა ი ს ი

18/III დ ი ლ ი თ ერთდრ. ტალ. № 3 აბესალომ და ეთერი დასაწყ. 12 ს.

18/III საღამოს მუდმ. ადგ. ტალ. № 136 ჯამბაზ"ბი და საბალეტო დივერტისმენტი

დასაწყისი საღ. 8 საათზე
მუდმივი ადგილების
გადასახადი მთლიანად უნდა იყოს დაფარული მარტში.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი

17/III წარმ. № 125 ნაპერწკლიდან

18/III წარმ. № 126. გმირთა თაობა

სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე.
დასაწყ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თ ე ა ტ რ ი

17/III წარმ. № 125 შ უ რ ი

18/III წარმ. № 126 სამანიშვილის დედინაცვალი

20/III წარმ. № 127 შ უ რ ი

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12-დან საღ. 9 საათ.

სახცირკი. ტელ. 3-11-44

დღეს, 17 მარტს
სატირკო წარმოდგენა
მონაწილეობს მთელი დასი
აგრეთვე ფრანგული პროფესიული
ჭიდაობის მე-5 დღე
ჭიდაობს 3 წყვილი:
1-ლი გ. კორშუნოვი—ვილიბური.
მე-2—დ. პასუნკო—ს. პუგაჩოვი.
მე-3—ა. ტაიონენი—ი. მასლიევი
წარმოდგენის დასაწყ. საღ. 8-30 წ., ჭიდაობისა—10 ს.
სალარო 12 დან 2 ს დე და 5 ს-დან.
18 მარტს — წარმოდგენა დღისით. დასაწყ. დღის 2 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი
ს ე ზ ო ნ ი
1937—38 წ.
18 მარტის
დღის წარმოდგენა ფასდაკლებით
გმირთა თაობა
დასაწყისი დღის 12 საათზე. სალარო ღიაა წარმოდგენის დღის დილის 9½ საათიდან.
დირექცია.

ესტრადის თეატრი
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-02-29
17 და 18 მარტს ტალონები № 72, 73
ოპერეტის ოსტატთა ლენინგრადის ანსამბლის გასტროლები
I. ოთხი შეცდომა ოპერეტა 1 მოქმ.
II. მექსიკელი ქალის გული ოპერეტა 1 მოქმ.
ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღამოს 9 ს.
ვისაც მუდმივი ადგილების შესატანები გადახდილი არა აქვს, სპექტაკლებზე არ დაიშვება.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	ახალი ხმოვანი ფილმი კ ა ტ ე რ ი ნ ა სეანსები: 6, 7—40, 9-20, 11
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ახალი ხმოვანი ფილმი კ ა ტ ე რ ი ნ ა სეანსები: 6-30, 8-30, 10-30
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91 რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ახალი ხმოვანი ფილმი „ხ ვ ა ლ თ უ ო მ ი ი ქ ნ ა“ სეანსები: 6-30, 8, 9-30, 11
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	ხმოვანი ფილმი „ც ხ ა რ ე დ ღ ე ე ბ ი“ დასაწყ. 6-30
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	ხმოვანი ფილმი „უჩინარი ადამიანი“ დასაწყ. 6-30
ა რ ს ე ნ ა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი „ა რ ს ე ნ ა“ დასაწყ. 6-30
ახალი ამბები	ფერადი ხმოვანი ფილმი „მებადურისა და თევზის ზღაპარი“ დასაწყ. 6-30

სსრ განსახკომთან არსებული სალექციო-საექსკურსიო ბიურო
აწყობს ლექციებს, საუბრებს და მოხსენებებს (ეპიზოდურსა და ციკლურს) მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ლიტერატურისა და სხვა საკითხებზე.
აწყობს ექსკურსიებს თემატური შინაარსისას (გარდა ტურისტულისა) ლექტორების თანხლებით.
ლექციებს და ექსკურსიებს ატარებენ პროფესორები და პედაგოგები.
საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნით ლექტორები გაიგზავნებიან საქ. სსრ ყველა რაიონში.
შეკვეთები მიიღება უშუალოდ, ქ. თბილისი, რუსთაველის. 31, განსახკომი, ოთახი № 34, ტელეფ. 3-54-02 და განსაკუთრებული რწმუნებულების მიერ, რომელთაც აქვთ სათანადო რწმუნება ბიუროსაგან.
1517 3—3 სალექციო-საექსკურსიო ბიურო.

ჟურნალ-გაზეთებზე ხელმომწერთა საყურადღებოთ.

იმ შემთხვევაში, თუ დამტარებელი უწესოდ გაბარებთ ან სრულებით არ გაბარებთ გამოწერილ ადგილობრივ ჟურნალს ან გაზეთს,

მიმართეთ სიტყვიერი განცხადებით და ქვითარის წარდგენით თქვენი საცხოვრებელი ადგილის მახლობელ კავშირგაბმულობის განყოფილებას და მოსთხოვეთ თქვენი განცხადების საჩივრის წიგნაკში შეტანა და საჩივრის ნომერი.

საჩივარი კავშირ-გაბმულობის მიერ გამორკვეულ უნდა იქნას 8 საათის განმავლობაში.

საგამომცემლო საკონტროლო პოსტი რუსთაველის № 36, 1 სართული.

3—2

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საბჭო აცხადებს,

რომ ინსტიტუტის საკვალიფიკაციო კომისიაში შესდგება მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად

დისერტაციის საჯარო დაცვა

29 მარტს, დღის 2 საათზე სოცჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ., 12) ექიმი **გიორგი წითლანაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე:

„გულის და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა წყალტუბოში მკურნალობის საკითხისათვის“.

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. **ი. კონიაშვილი** და პროფ. **ნ. მახვილაძე.**

აქვე ექ. **ალექსანდრე ივანეს-ძე ყ ნჩელი** დაიცავს დისერტაციას თემაზე:

„მუშა-მოზარდ ახალგაზრდების ფიზიკური განვითარება“.

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. **ალ ნათიშვ ლი** და პროფ. **პ. ნანეიშვილი.**

შრომების გაცნობა მსურველთ შეუძლიათ თ ილისის სამედიცინო ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში (ლუნაჩარსკის ქ., № 12. ოთ. 4) სწავლულ მდივანთან—დოცენტ ვლ. გიორგაძესთან.

1053 თბილისის სახ. მედინსტიტუტის საბჭო.

მეუღლე ანასტასია, შვილები: თამარ, მარიამ, ელენე, გიორგი, სიძე მიხეილ ცაგურია და შვილიშვილი ედიშერი იუწყებიან ძვირფასი

დიმიტრი თომას-ძე ხოშტარიას (დუტუ მეგრელის)

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16 მარტს, საღამოს 7 საათზე. ქალაქის მე-2 თერაპევ. საავადმყოფო. კამოს ქ. №103. დაკრძალვა 18-ს. 17727

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა მხცოვანი მწერალი

დუტუ მეგრელი

პანაშვიდი 17 მარტს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის მე-2 საავადმყოფოში, კამოს ქ. № 103. 18 მარტს პანაშვიდი ხელოვნების მუშაკთა კლუბში (მახარაძის ქ. № 8) 1 საათზე. გამოსვენება 2 საათზე. დაკრძალვა ვაკეში მწერალთა ახალ პანთეონში. 17727

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სას ოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. ც. კ. (ბ) ც.-კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 1460